# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 24 იანვარი, 2014 წელი.

№15 (7396)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# შევთხოვთ უფალს, უკრაინის პროცესები სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შედეგად მსხვერპლის გამო მწუხარებას გამოთქვამს. ამის შესახებ უწმინდესის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— კიევში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მსოფლიოც და ჩვენც შეშფოთებით ვადევნებთ თვალს. ქვეყანა რთულ პერიოდს გადის და დაძაბულობა შეიძლება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდეს. დიდად ვწუხვართ, რომ უკვე არის მსხვერპლი და დაშავებულია სერიოზული რაოდენობა.

შევთხოვთ უფალს, რომ პროცესები სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს და მოვლენები უმართავი არ გახდეს.

მოციქულ ანდრიას, წმიდა ვლადიმერის და წმიდა ოლღას ლოცვით ღმერთმა დალოცოს უკრაინა და უკრაინელი ხალხი და შეაძლებინოს არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრა, — ნათქვამია განცხადებაში.

---



უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება უმაღლესი რადას რიგგარეშე სხდომაზე უნდა იყოს განხილული. როგორც უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ამ თხოვნით ვიქტორ იანუკოვიჩმა შეხვედრაზე უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს ვლადიმერ რიბაკს მიმართა.

„ის მოლაპარაკებები, რომელიც ჩემსა და ოპოზიციას შორის მიმდინარეობს, მხოლოდ ერთი ნაწილია პოლიტიკური კრიზისის დარეგულირებისა. მეორე ნაწილი უნდა იყოს დისკუსიის გადატანა პარლამენტში“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

* * *

ვიქტორ იანუკოვიჩის განცხადებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას არ შემოიღებს. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუსთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა.

# მეცნიერება უნდა გადარჩეს ③

# ორწლიანი მიღწევებით ასიათასი მომხმარებლის წინაშე ④

„მაგთისატი“ იუბილარია

# რა „ამუხრუჭებს“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარებას? ⑧

# მადლობა იმ თაობას



# ბიძინა ივანიშვილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცა

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თსუ-მ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დააჯილდოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცნობეს, ბიძინა ივანიშვილს მედალი უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარების ხელშეწყობისთვის გადაეცა.

# ბიძინა ივანიშვილმა „მოქალაქე“ დააარსა

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ დააფუძნა. ორგანიზაციის მიზანი ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებაა. როგორც იუწყებიან, „მოქალაქის“ ხედვისა და მიზნების შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება 28 იანვარს, სწორედ ამ დღეს დამფუძნებლებს გადაწყვეტილი აქვთ შეხვდნენ ქართული და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებს.

⑩




# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში ფინელ კოლეგას შეხვდა



**დავოსში** მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფინელ კოლეგას ირკი კატაინენს შეხვდა. პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები განიხილეს და ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

— ირაკლი ღარიბაშვილმა ირკი კატაინენს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, არაღიარების პოლიტიკისა და ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერისათვის, ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა.

# ამერიკელი დიპლომატი სააკაშვილის წინააღმდეგ

**ამერიკელი დიპლომატი ჯონ ქრისტიან კორნბლამი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლაში მუშაობის დაწყების გამო. ამის თაობაზე კორნბლამმა წერილობით მიმართა ტაფტის უნივერსიტეტის გამოცემა The Tufts Daily-ის რედაქტორს.**

— მწუხარებით გავეცანი თქვენს გაზეთში ინფორმაციას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, როგორც ეგრეთ წოდებული „მაღალი დონის სახელმწიფო მოღვაწის" დანიშვნის თაობაზე. ეს დანიშვნა ფლეტჩერის ახალი დეკანის არა მხოლოდ ცუდი გადაწყვეტილების მაგალითია, არამედ ზიანის მომტანია ფლეტჩერის სტუდენტებისა და მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის. სააკაშვილს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია, იყოს მაგალითი მომავალი დიპლომატებისა და ბიზნეს აღმასრულებლებისთვის, — ნათქვამია ჯონ ქრისტიან კორნბლამის წერილში.



ამასთან, ამერიკელი დიპლომატი აღნიშნავს, რომ ის ყოფილი ელჩი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სააკაშვილის ოპონენტის მრჩეველი იყო საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

— ეს არჩევნები არ არის აღნიშნული ფლეტჩერის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამ დაუდევრობის მიზეზი, შესაძლოა, ის ფაქტია, რომ 2012 წლის არჩევნების შედეგად ძალაუფლება „ქართულ ოცნებას„ გადაეცა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა და მისმა პარტიამ ძალ-ღონე არ დაიშურა, რათა ყველა ბერკეტი გამოეყენებინა მეტოქე ბიძინა ივანიშვილის კამპანიის დაბლოკვისთვის. ივანიშვილი გახლავთ ბიზნესმენი, რომელიც პოლიტიკაში იმისთვის მივიდა, რათა დაესრულებინა ადამიანთა უფლებების სისტემატური დარღვევები, ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეების წინააღმდეგ ძალადობა და ეკონომიკური რღვევა, რომელიც სააკაშვილის მმართველობისთვის იყო დამახასიათებელი, — ნათქვამია ჯონ ქრისტიან კორნბლამის წერილში.

ამასთან, ამერიკელი დიპლომატი აღნიშნავს, რომ თავად იყო მომსწრე 2010 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო დრამატული კვირების და პირადად შეუძლია დაადასტუროს საარჩევნო კამპანიაში ჩართული მუშაკების წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობა და თავისუფლებაზე ზეწოლა, რომელსაც თავად აკვირდებოდა. მისივე თქმით, ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეთა 60%-ზე მეტმა სააკაშვილის წინააღმდეგ მისცა ხმა, არა მხოლოდ ივანიშვილის გამბედაობის დასტური, არამედ დასავლეთის მთავრობების მხარდაჭერაა, რომელთაც ნათელი გახადეს სააკაშვილისთვის, რომ მას აღარ დართავდნენ არჩევნების „მოპარვის" ნებას.

— ფლეტჩერის ახალი დეკანი უფროსი სამხედრო ამერიკელი ჩინოვნიკების ჯგუფიდანაა, რომელიც მხარს უჭერდა სააკაშვილს მიუხედავად მისი დანაშაულობებისა, რადგან ის ნატოს ერთგული იყო. დარწმუნებული ვარ, რომ დეკანი დაიცავს თავის გადაწყვეტილებას, რა ფაქტებიც არ უნდა გაჩნდეს. მაგრამ ფლეტჩერის სტუდენტებსა და ფაკულტეტს შეუძლიათ ამ სამწუხარო ამბავში პოზიტიური შედეგის მიღებაში დახმარება იმით, რომ სააკაშვილის ყოველი გამოჩენა მათში გამოიწვევს მისი მემკვიდრეობის სრულ და გულწრფელ განსჯას. წაიკითხეთ საქართველოს უახლესი ისტორია, გაეცანით სააკაშვილის მიერ პატიმრების მოპყრობის ფაქტებს, დემონსტრანტების დაუნდობელ დარბევას 2011 წლის მაისში, კორუფციას და პირად გამდიდრებას, რითაც მთელი მისი რეჟიმი იყო ინფიცირებული. პირველ რიგში, აიძულეთ იგი, თქვას სიმართლე. ამით თქვენ მიაღწევთ იმას, რომ მისი უცნაური დანიშვნა იქცევა იმის მაგალითად, თუ როგორ შეუძლია თავისუფლებას, გაიმარჯვოს ისეთ პოსტსაბჭოთა დიქტატორებზე, როგორიც სააკაშვილია, რუსეთის მოსაზღვრე სტრატეგიულ რეგიონებში, — ნათქვამია ჯონ ქრისტიან კორნბლამის წერილში.

## ვინ როგორ ფიქრობს

# ახალ პროკურორს 20 000 საჩივარი დახვდა!



**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გიორგი ბადაშვილი მესამე ახალი პროკურორია. ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ 2014 წლის 21 იანვრით დათარიღებულ ბრძანებას ხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოაწერა. მთავრობისათვის იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი გიორგი ბადაშვილის კანდიდატურა მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე დახასიათებულია როგორც კვალიფიკაციისა და კარგი რეპუტაციის მქონე, პროფესიონალი კადრი.**

კარგად გვესმის, რომ პროკურატურას ექნება ძალიან დიდი დატვირთვა, იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ ათასობით ადამიანი ელის დარღვეული უფლების აღდგენას. ეს რთული პროცესი იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ჩვენი გუნდის მხარდაჭერა მას ამაში დაეხმარება...

**ეკა ბესელია:** საქართველოს ხელისუფლებას ახალი მთავარი პროკურორის გიორგი ბადაშვილის კარიერული ზრდის იმედი აქვს და მიიჩნევს, რომ ის მთავარი პროკურორის პოსტზე ყველა გამოწვევას გაუმკლავდება.

„ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკვე ბევრი აქვს ნანახი", „კარგი რეპუტაციის მქონე ახალგაზრდა" — ასე ახასიათებენ ბადაშვილს საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ირაკლი სესიაშვილი და გია ცაგარეიშვილი. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია კი ფიქრობს, რომ ახალი პროკურორი თავს გაართმევს ურთულეს საქმეს, რომელიც მას ელოდება, და პროკურატურაში დაგროვილ საქმეებსაც გამოიძიებს:

**„კარგად გვესმის, რომ პროკურატურას ექნება ძალიან დიდი დატვირთვა, იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ ათასობით ადამიანი ელის დარღვეული უფლების აღდგენას. ეს რთული პროცესი იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ჩვენი გუნდის მხარდაჭერა მას ამაში დაეხმარება".**

ბადაშვილის დანიშვნას 22 იანვარს გამოეხმაურა თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანიაც,** რომლის თქმით, **მთავარი პროკურორის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილებოდა, საბოლოოდ კი, პრემიერმა, იუსტიციის მინისტრთან ერთად, გიორგი ბადაშვილი აარჩია. ახლა მას, ალასანიას თქმით, მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება, რადგან პროკურატურას არაერთი გამოსაძიებელი საქმე რჩება გამოწვევად.**

ყაჩაღობისა და ქურდობისათვის ნასამართლევი ფარცხალაძე კვლავაც შეინარჩუნებს არაფორმალურ კონტროლს პროკურატურაზე, ახალი მთავარი პროკურორის როლი კი იქნება ძალიან უმნიშვნელო. ამგვარი გადაწყვეტილებები, ჩვენი შეფასებით, ხელს ვერ შეუწყობს პროკურატურისადმი დაკარგული ნდობის აღდგენას — ამბობს **ნუგზარ წიკლაური.**

ოპოზიცია გიორგი ბადაშვილისგან მოითხოვს ეფექტურად გამოიძიოს ე.წ. პოლიტიკური საქმეები, რაშიც ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას საქმეები იგულისხმება.

რადიო „თავისუფლებამ" ბადაშვილის კანდიდატურის შეფასება რამდენიმე ცნობილ ადვოკატს სთხოვა, მათ შორის, **ზვიად კორძაძესა** და **სოსო ბარათაშვილს,** რომლებიც აცხადებენ, რომ ბადაშვილის საქმიანობას არ იცნობენ და ჯერჯერობით გაუჭირდებათ შეფასების გაკეთება. ზოგადად, ქვეყნის მთავარი პროკურორისადმი სოსო ბარათაშვილს ორი უმთავრესი მოთხოვნა აქვს:

**„მე პირადად, მთავარი პროკურორისგან მოვითხოვ იმას, რომ ზედმიწევნით კარგად იცოდეს სისხლის სამართალი და, რაც მთავარია, თავადაც უნდა იყოს სამართლიანი და მისი საქმიანობის პოლიტიზება არ უნდა მოხდეს. რაც შეეხება მის გამოცდილებას, მე მას არ ვიცნობ, თუმცა ვიტყვი, რომ უფროსი თაობის პროკურორები, ძირითადი ბირთვი, არის ან საბჭოთა სისტემის, ანაც კორუმპირებული სისტემის ნაწილი, ანაც იმ სისტემის ნაწილი, რომელიც 9 წლის განმავლობაში ამდენ უკანონობას სჩადიოდა, ამიტომ ვფიქრობ, რომ რაღაც შუალედია მოსაძებნი. ბევრი რამ ადამიანზეც არის დამოკიდებული. მხოლოდ ასაკიდან გამომდინარე, გამიჭირდება შევაფასო, რამდენად მიზანშეწონილია ამ პოსტზე გიორგი ბადაშვილის დანიშვნა".**

ახალ პროკურორს არ იცნობს არც სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი,** რომელიც 22 იანვარს გამართულ ბრიფინგზე ასევე გამოეხმაურა გიორგი ბადაშვილის დანიშვნის ფაქტს:

**„პროკურორს არ ვიცნობ. რაც შეეხება მის საქმიანობას, ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელისუფლო რგოლია, რთული მემკვიდრეობით. ახალ პროკურორს მოუწევს გარკვეული ბალანსის შენარჩუნება იმ მოთხოვნებს შორის, რომელიც საზოგადოებაში არსებობს გარკვეულ საქმეებთან დაკავშირებით, და უდანაშაულობის პრეზუმფციასა და კანონის უზენაესობის განხორციელებას შორის".**

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელი კახა კოჟორიძე კი მიიჩნევს, რომ **იუსტიციის მინისტრმა უნდა განმარტოს, მიიღო თუ არა მან მონაწილეობა მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევის პროცესში. თავად ბადაშვილს კი წინა ორი პროკურორისგან მემკვიდრეობად მოქალაქეთა დაახლოებით 20 000 საჩივარი დახვდება.**

**ეკა ქევანიშვილი**

# ჩემი, როგორც მთავარი პროკურორის მუშაობა, სამართლიანობის დაცვისკენ იქნება მიმართული

**საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი საზოგადოებას საკუთარ ხედვებს და გეგმებს აცნობს. აღნიშნულთან დაკავშირებით ბადაშვილი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც პირობას დებს, რომ მისი და უწყების თითოეული თანამშრომლის მუშაობა მიმართული იქნება საზოგადოების უსაფრთხოების და სამართლიანობის დაცვისკენ.**

— უპირველეს ყოვლისა, მსურს, მადლობა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს და იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს, იმ უდიდესი ნდობისათვის, რომელიც მათ გამომიცხადეს ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე დანიშვნით. ამავდროულად, სრულად ვაცნობიერებ იმ მაღალ მოთხოვნებს და მოლოდინებს, რაც დღესდღეობით პროკურატურის მიმართ საზოგადოების მხრიდან არსებობს და მზადყოფნას გამოვთქვამ პროკურატურაში არსებული პროფესიონალი კადრების გვერდით დგომით, გავამართლო არსებული მოლოდინი.

საქართველოს პროკურატურამ ბოლო პერიოდში საკმაოდ რთული გზა გაიარა, თუმცა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, კვლავ საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე დგას. ჩემი, როგორც მთავარი პროკურორის და პროკურატურის თითოეული თანამშრომლის მუშაობა მიმართული იქნება საზოგადოების უსაფრთხოების და სამართლიანობის დაცვისკენ, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პირობებში. ყურადღება უნდა მიექცეს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების სტანდარტების ამაღლებას და მტკიცებულებების მოპოვების გზების დახვეწას, რაც პროკურატურის წარმოებაში გახმაურებული საქმეების მრავლად არსებობის პირობებში, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნება. ასევე, უნდა ამაღლდეს თითოეული საქმის გამოძიებისას საპროკურორო ზედამხედველობისა და საპროცესო კონტროლის ხარისხი, რაც შემდგომში სასამართლო სტადიაზე მყარ საფუძველს შექმნის პროკურორების მხრიდან სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციურად განსახორციელებლად, — აცხადებს გიორგი ბადაშვილი.

ამასთან, მისივე განმარტებით, აღნიშნული გამოწვევების დაძლევისათვის, აუცილებელი იქნება პროკურატურაში არსებული კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და გადასამზადებელი ღონისძიებების გეგმიურად გატარება.

**ინტერპრესი**

## ინფორმაცია

### გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი 30 იანვარს გაგრძელდება

**გუშინდელი პროცესი მას შემდეგ დასრულდა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა კეზერაშვილის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფასთან დაკავშირებით.**

**როგორც პროკურორმა გიგა ძნელაძემ სასამართლო პროცესის გადადების შემდეგ ჟურნალისტებს განუმარტა, ბრალდების მხარემ, კეზერაშვილის საქმის წარმოების გამოყოფა მხოლოდ იმ მოტივით მოითხოვა, რომ მის საქმეზე არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი და მას შემდეგ, რაც დამთავრდებოდა საექსტრადიციო პროცედურები, საქმე გაგრძელებულიყო კეზერაშვილის მონაწილეობით.**

**პროკურორმა აღნიშნა, რომ საექსტრადაციო პროცედურების განხილვა საფრანგეთის სასამართლოში უკვე მიმდინარეობს. პროკურორის შუამდგომლობა მიუღებლად და დაუსაბუთებლად შეაფასა დაცვის მხარემ.**

**როგორც კეზერაშვილისა და უგულავას ადვოკატებმა განაცხადეს, აღნიშნული საკითხის განხილვა სასამართლო პროცესზე წინა პროცესების განმავლობაში უკვე გადაწყდა, რომლის მიხედვით, საქმე ცალკე წარმოებად არ გამოიყოფა. მათივე თქმით, პროკურორის ხელმეორე შუამდგომლობა საქმის გამოყოფასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელია და ემსახურება საქმის გაჭიანურებას.**

**მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ პროკურატურის აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და მომდევნო პროცესი 30 იანვარს ჩანიშნა. შემდგომ პროცესზე დაგეგმილია ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა.**

### არსებული მდგომარეობა

**ორ ათწლეულზე მეტია, რაც უგულებელყოფილია საქართველოს მეცნიერება, მას სასიცოცხლო ფუნქცია გამოცლილი აქვს, შეგნებულად თუ შეუგნებლად ნადგურდება მეცნიერული მიღწევა, აქედან გამომდინარე, შედეგიც უმძიმესია: 45 000 მეცნიერი მუშაკიდან რეალურად დარჩენილია 2 500; არსებული 82 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან დარჩენილია ათიოდე და ისინიც, გაუსაძლის პირობებში ჩაყენებულნი, მალე შეწყვეტენ არსებობას.**

**ახალ პირობებში, ცხადია, საჭირო იყო მათი ოპტიმიზაცია, და არა – განადგურება; აღარ არსებობს საკვლევ-ექსპერიმენტული ბაზები; სრულიად პატივაყრილია თვით მეცნიერი, მისი ხელფასი 10-15-ჯერ ნაკლებია სახელმწიფო სტრუქტურების მესამეხარისხოვან თანამშრომელთა ანაზღაურებაზე; ახალგაზრდობაში აღარ არსებობს ჭეშმარიტი ლტოლვა მეცნიერებისკენ;**

ამ ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური პროცესის საფუძვლად რამდენიმე ობიექტური მიზეზი სახელდება – ქვეყნის მასშტაბი, უსახსრობა და ა.შ. ჩვენ ამას არაპროფესიონალიზმს, მედროვეობას და ქვეყნის მომავლისადმი აბსოლუტურ უპასუხისმგებლობას დავამატებდით. მეცნიერების მართვის მოდელის შექმნაში მონაწილეობს ყველა ჯურის ჩინოვნიკი და მათი „გულშემატკივარი“, ათასგვარი „ექსპერტი“ და „საქმეში ჩახედული ადამიანი“. დიახ ყველა, გარდა თვით მეცნიერისა. მას ამ საქმეს კატეგორიულად არ აკარებენ.

ქართული მეცნიერების განვითარების საფუძვლად იღებენ ხან ერთი ქვეყნის მოდელს, ხან მეორისას, ხან ქმნიან რაღაც „ახალს და ორიგინალურს“, ხან კი სულაც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ჩვენი მასშტაბის ქვეყანას მეცნიერება საერთოდ არ სჭირდება. ამასობაში თანდათანობით იკარგება ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა მეცნიერებაში: ეს არის ცოდნის, სამეცნიერო აზრის უწყვეტობა, მემკვიდრეობითობა და თაობათა ცვლის ჰარმონიულობა. ცხოვრებიდან მიდიან მეცნიერები, რომლებიც, ამავე დროს, დიდი მასწავლებლებიც არიან და მათ ადგილზე არავინ არ მოდის. ჩვენ უკვე ძალიან ახლოს ვართ თაობათა წყვეტასთან, მეცნიერების საბოლოო განადგურებასთან.

ამ თეზისის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებში მოყვანილ რამდენიმე ციფრს. კორპორაცია RAND-მა გამოაქვეყნა მასშტაბური კვლევა – „გლობალური ტექნოლოგიური რევოლუცია 2020“ / “Global Technology Revolution 2020“, რომელშიც მოცემულია თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო ტექნოლოგიური შესაძლებლობები. **ამ კვლევების მონაცემებით, ბელორუსიას უკავია 30-ე პოზიცია, ესტონეთს – 34-ე, აზერბაიჯანს – 38-ე, სომხეთს – 57-ე, საქართველოს – მე-100, საქართველოს შემდეგ არიან მხოლოდ ჩადი, ლაოსი და გაბონი.**

ამავე კვლევის შემდეგ კატეგორიაში „მეცნიერული მიღწევების ადაპტირება“, რომელიც ფასდება 100-ქულიანი სისტემით, საქართველო არის გამოკვეთილი აუტსაიდერი და ფიჯისა და კამერუნთან ერთად „დამსახურებული“ აქვს 5 ქულა.

კატეგორიის მიხედვით „თუ რამდენად ძნელია მეცნიერული კვლევებისთვის სახსრების მოძიება“, რომელიც ასევე 100-ქულიანი სისტემით ფასდება, **ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა შეფასებულია როგორც „ყოველმხრივ ბუნდოვანი“.** ამდაგვარი კვლევების შედეგები ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ უამრავი და ყველა მათგანში საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების გათვალისწინებითაც კი – არის ბოლო ხუთეულში. ვის შეიძლება მოეთხოვოს ამისათვის პასუხი?

თუ ასე გაგრძელდა, ეს ნიშნავს, რომ ქართველი ერი განწირულია, იყოს ინტელექტის მუდმივი მათხოვრობისთვის. რომ ერი, რომელსაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში გელათისა და იყალთოს აკადემიები ჰქონდა, ერი, რომელმაც მსოფლიოს მისცა „ვეფხისტყაოსანი“, 21-ე საუკუნეში გადაიქცევა ინტელექტუალურ ცვედანად.

### მდგომარეობიდან გამოსვლის საწყისი

საქართველოში მეცნიერების საბოლოო განადგურებისგან ხსნის პირველი, გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა მეცნიერების კვდომის პროცესის სასწრაფო შეჩერებაა.

### მეცნიერების მართვის ფორმა და შინაარსი

1.იმისათვის, რომ რაიმე მოვლენა ეფექტურად იმართოს, სულ ცოტა ორი რამ არის საჭირო: **პირველი** – თვით ამ მოვლენის ღრმა ცოდნა და **მეორე** – მართვის ფორმათა სიმრავლე და მრავალფეროვნება, საიდანაც შერჩეული უნდა იქნეს ის ვარიანტი, რომელიც ზუსტად და ოპტიმალურად მოერგება სამართავ ობიექტს და სრულად გამოავლენს მის პოტენციალს.

2. იმისათვის რომ ზუსტად დადგინდეს მეცნიერების მართვა-განვითარების გზა და მისი ეტაპები, კარგად უნდა იქნეს შესწავლილი თვით ამ ქვეყნის მოცემულობა, მისი ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, რეალობა მეცნიერების სხვადასხვა დარგის, სამეცნიერო-კვლევითი და ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული ბაზის გადარჩენილი ნაწილის, და, რაც მთავარია, სამეცნიერო კადრების რეალური მდგომარეობა. მოკლედ რომ ვთქვათ, „გამანადგურებელი ომის“ შემდეგ საჭიროა გენერალური ინვენტარიზაცია. მხოლოდ ამ და კიდევ მრავალი სხვა სახის ინფორმაციის მოპოვების შემდეგ შესაძლებელია განისაზღვროს მეცნიერების ღრმა კრიზისიდან გამოყვანის პირველი და შემდგომი ნაბიჯები.

3. მეცნიერების მართვა შეუძლებელია, თუ მმართველ სუბიექტს ნათელი და ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია არა აქვს მეცნიერების დარგებისა და მათი სპეციფიკის შესახებ, თუ იგი ღრმად ვერ ერკვევა მეცნიერების თითოეული დარგის არსსა და პოტენციალში, თუ მან დაწვრილებით არ იცის დარგის პრობლემები და არ იცნობს იმ მეცნიერებს, რომლებიც ამ კონკრეტულ დარგში არიან დასაქმებულები.

4. ჩვენ ვეყრდნობით აქსიომურ დებულებას იმის შესახებ, რომ მეცნიერების ჯეროვნად მართვას სჭირდება მაღალორგანიზებული სიმბიოზი, ერთი მხრივ, კონკრეტული სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ამ კონკრეტული კვლევის, მეცნიერებათა დარგების გლობალურ სისტემაში დასანახად, იმ ურთულეს სისტემაში, სადაც ყველაფერი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელია. ვერც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციას ვერავინ შეასრულებს, მეცნიერისა და სამეცნიერო საზოგადოების გარდა. **ჩვენ გთავაზობთ ზუსტად ამ ორგანულ სიმბიოზს, რომელშიც გაერთიანებული იქნება, ერთი მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ხოლო, მეორე მხრივ, დარგთაშორისი, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ერთიანი ორგანო მეცნიერებათა აკადემიის სახით.**

როგორი ახალი მმართველი სტრუქტურაც არ უნდა შეიქმნას, მას არასოდეს არ ექნება გამოცდილების, პროფესიონალიზმისა და ინფორმირებულობის ის დონე, რაც აქვს მეცნიერებათა აკადემიას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი არის მეცნიერთა საკრებულო, უფრო სწორად კი, ყველა დარგის ყველაზე მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა ორგანული გაერთიანება. იმ ადამიანების გაერთიანება, რომლებსაც სამეცნიერო მუშაობის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება აქვთ მეცნიერების ამა თუ იმ დარგში.



# მეცნიერება უნდა გადარჩეს

## ვერასდროს და ვერავის მივცემთ უფლებას, მათხოვარ ქვეყნად აქციოს დიახ, „პატარა“, მაგრამ დიადი საქართველო

5. გარდა ზემოთ ხსენებულისა, მეცნიერების მართვა იმიტომ არის რთული, რომ ის მოიცავს ადამიანის ცხოვრებისა და აზროვნების ყველა სფეროს. და ყოველი მათგანი მოითხოვს განვითარების თავის სპეციფიკურ მეთოდს, ფორმას და სრულიად განსხვავებულ ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ ხელშეწყობას. თუ ამას დავუმატებთ იმ ძალზე მნიშვნელოვან გარემოებას, რომ მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში ბოლო 20 წლის მანძილზე 40-მდე ახალი სამეცნიერო მიმართულება ჩამოყალიბდა და თანამედროვე პირობებში დაგროვილი მეცნიერული ცოდნა ყოველ 20 წელიწადში ორმაგდება (ხოლო 2035 წლიდან ცოდნის გაორმაგებას დასჭირდება სულ რაღაც 7-8 წელი), მივალთ დასკვნამდე, რომ ასეთ გარემოებაში მეცნიერების მართვა თვითონ ხდება მეცნიერული შესწავლის ურთულესი ობიექტი და ამ ამოცანის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ თვით მეცნიერებს და მათ გაერთიანებებს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირში.

### სახელმწიფო და მეცნიერება

1. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს როლი მეცნიერების მართვის საქმეში უმნიშვნელოვანესია, ზოგჯერ კი – გადამწყვეტიც. ძირითადი სირთულე სახელმწიფოსა და მეცნიერების ურთიერთმოქმედების სფეროში არის იმ ოპტიმალური ფორმისა და დოზის მიგნება, რა ფორმითა და დოზითაც სახელმწიფო უნდა ჩაერიოს მეცნიერების მართვაში, ისე რომ ამ ჩარევამ არ გამოიწვიოს უკუშედეგი, რადგანაც მეცნიერება არის თვითმყოფადი და თვითგანვითარებადი მოვლენა, რომლის მართვის ეფექტურობა მდგომარეობს არა ობიექტზე აქტიურ ადმინისტრაციულ ზემოქმედებაში, არამედ მისდამი ძალიან ფრთხილ, კარგად მოზომილ და მაღალპროფესიულ დამოკიდებულებაში. *სახელმწიფო მართვის* ფუნქცია ამ შემთხვევაში იძენს ძალზე სპეციფიკურ მნიშვნელობას, რომელიც გამოიხატება სიტყვით სახელმწიფო *„ხელშეწყობა“.*

ქვეყნის მასშტაბით მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა ორგანული გაერთიანების (ჩვენს შემთხვევაში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახით) არსებობით სასიცოცხლოდ უნდა იყოს დაინტერესებული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი ორგანო უზრუნველყოფს მას ყველა საჭირო შემთხვევაში, მაღალკვალიფიციური და ყოველმხრივ შეჯერებული დასკვნა-რეკომენდაციით, რომელიც საშუალებას მისცემს ხელისუფლებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმოქმედოს გაბედულად და მაღალპროფესიონალურად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ყოველთვის იყო და არის საქართველოს მთავრობის სამეცნიერო მრჩეველი, მაგრამ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ უკვე 20 წელი სრულდება, რაც საქართველოს მთავრობას არანაირი დავალებით ან თხოვნით არ მიუმართავს აკადემიისთვის რაიმე საკითხის ირგვლივ რჩევის მისაღებად. **ძნელი სათქმელია, რას ნიშნავს ეს. აკადემიის , ზოგადად მეცნიერების უგულებელყოფას, თუ უბრალოდ მუშაობის მანკიერ სტილს?** ან იქნებ ამ პერიოდში არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ განხილულა მთავრობის მიერ.

2. მიგვაჩნია, რომ მთავრობის სამეცნიერო მრჩევლისა და ექსპერტის ფუნქციის შესრულება ნებისმიერი ორგანიზაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა და იგი რეგლამენტირებული უნდა იყოს საკანონმდებლო თვალსაზრისით, რითაც, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული. აღნიშნულ საკითხზე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და უახლოეს მომავალში წარმოადგენს წინადადებებს.

3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი უდიდესი ამოცანაა მეცნიერების კვდომის რაც შეიძლება სწრაფი შეჩერება. ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია, თუ სასწრაფოდ არ გადაწყდა ორგანიზაციული საკითხი და არ გაირკვა ვინ, რომელი სახელმწიფო ორგანო უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლას, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას. ჩვენი ღრმა რწმენით, დღესდღეობით ერთადერთი ასეთი დაწესებულება, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და სამოცდაათწლიანი გამოცდილება, არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (დაწესებულება, რომელიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა 56 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას 43 000 თანამშრომლით). ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, სასწრაფოდ (თუნდაც გარკვეული პერიოდით) აღჭურვოს მეცნიერებათა აკადემია სპეციალური უფლებამოსილებით პირველი ეტაპის ამოცანათა შესასრულებლად და აღმოუჩინოს მას შესაბამისი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება.

4. აკადემიამ, ხელისუფლების წინაშე უნდა აიღოს ვალდებულება, რომ მოამზადოს ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება მეცნიერების განვითარების შესახებ. მოხსენება წარედგინება მთავრობას ყოველი წლის 1 თებერვლამდე იმ მიზნით, რომ იგი აუცილებლად იქნება განხილული მთავრობის სხდომაზე.

5. არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ ვუპასუხოთ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის იმ პოზიციას, რომელიც ამტკიცებს, რომ „პატარა ქვეყანას“ (როგორც წესი, სიტყვა „პატარა“-ში გულისხმობენ ქვეყნის ტერიტორიას), ანუ ისეთ ქვეყანას, როგორიც არის საქართველო, საერთოდ არ სჭირდება მეცნიერება და მით უფრო, მისი განვითარება. **ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ეს პოზიცია მიზნად ისახავს მეცნიერების დასამარებას.** ამ გავრცელებულ აზრს, მისი შინაარსობრივი სიმწირიდან გამომდინარე, შეუძლებელია ვუპასუხოთ, მეცნიერული თვალსაზრისით, მის ავტორებს კი ვაცნობებთ, რომ მარტო ევროპაში საქართველოზე „პატარა“ ქვეყნებია: ჰოლანდია, ბელგია, ავსტრია, შვეიცარია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ხორვატია, ლიხტენშტეინი, ესტონეთი, ლატვია. საქართველოზე „პატარაა“, აგრეთვე, ისრაელი და კიდევ ასობით ქვეყანა.

სრულიად ნათელი რომ იყოს ჩვენი სულისკვეთება, ვაცხადებთ, რომ ბედნიერად ვიგრძნობდით თავს, საქართველოში მეცნიერების განვითარების დონე ისეთივე რომ იყოს, როგორიც არის, მაგალითად, ჰოლანდიაში ან ისრაელში, მაგრამ, *ამასთან ერთად, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ უცხო ქვეყნებში არსებული მეცნიერების მართვის ვერც ერთი სისტემის პირდაპირი კალკირება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ არ მოხდა ასეთი სისტემის ქართულ ფესვზე დამყნობა, ქართული რეალობის, ქართული სპეციფიკის, მენტალიტეტის და ასე გასინჯეთ, ქართული ტემპერამენტის გათვალისწინება.*

### მეცნიერების დაფინანსება

1. ვფიქრობთ, რომ მეცნიერების განვითარების კონსოლიდირებული ბიუჯეტი უნდა შეადგინოს მეცნიერებათა აკადემიამ და წარუდგინოს ხელისუფლებას.

2. აუცილებლად მიგვაჩნია, მოკლედ განვიხილოთ მეცნიერების განვითარების ის პოსტულატი, რომელიც დამყარებულია ლიდერ- მეცნიერებსა და სახელმწიფოს მიერ მხოლოდ პრიორიტეტული თემატიკის დაფინანსებაზე.

თავისი შინაარსით მეცნიერული მოღვაწეობა, ანუ სამეცნიერო პროცესი შედგება რამდენიმე ლოგიკური ეტაპისაგან, რომელთა შორის პირველი და უმთავრესია მეცნიერული ცოდნის დაგროვების (აკუმულირების) ეტაპი, რითაც დაკავებულია მეცნიერთა საერთო რიცხვის 97%. საყოველთაოდ ცნობილია, რომ *ნებისმიერი სიახლის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად, როდესაც და რამდენადაც დაგროვილი მეცნიერული ცოდნა გვაძლევს ამის საშუალებას, და არც ერთი წუთით ადრე.* როდესაც ნიუტონს ჰკითხეს, თუ როგორ მოახერხა თავისი აღმოჩენის გაკეთება, მან მოკლედ უპასუხა: **„მე თუ რამე აღმოჩენის გაკეთება შევძელი, მხოლოდ იმის წყალობით, რომ გოლიათების მხრებზე ვიდექიო“.** ნიუტონის შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს მეცნიერული ცოდნა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ თვით ამ ცოდნის დამუშავება და მისი სისტემატიზაცია თავისთავად მეცნიერული კვლევის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

სრულიად ცხადია, რომ მეცნიერული ცოდნის აკუმულირების პროცესის შეჩერება მყისიერად იწვევს მეცნიერების განვითარების შეჩერებას. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, შეუძლია დამატებით დააფინანსოს ესა თუ ის, მისთვის პრიორიტეტული პროექტი, ან სპეციალურად დაუკვეთოს გარკვეული სამუშაოს შესრულება ნიჭიერ და გამოცდილ მეცნიერს ან მეცნიერთა ჯგუფს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც არსებობს ე.წ. საბაზისო დაფინანსება, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყარო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არ შეჩერდება მეცნიერული ცოდნის დაგროვების უმნიშვნელოვანესი პროცესი.

3. მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საგრანტო, საკონკურსო და სხვა სახის მასტიმულირებელი ფონდების არსებობა და მათი ეფექტური მართვა. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა ასრულებდეს ამ ფუნქციას სხვა ორგანო და არა მეცნიერებათა აკადემია.



4. სრულად ვითვალისწინებთ იმას, რომ ახალ პირობებში მეცნიერებათა აკადემიას მოუწევს შესაბამისი, მმართველობითი ხასიათის სიღრმისეული შიდარეფორმის გატარება, რისთვისაც იგი თეორიულად და პრაქტიკულად მზად უნდა იყოს.

**იოსებ ბაჩიაშვილი.**

**P. S. რა თქმა უნდა, არ უნდა იწერებოდეს მსგავსი წერილები, როდესაც გარეთ XXI საუკუნეა. რა თქმა უნდა, ტრაგიკულია და, ამავე დროს, შემაძრწუნებელი, როდესაც ხედავ საჭიროებას, ამტკიცო იმის ჭეშმარიტება, რაც თვითონ ჭეშმარიტებაა. რა თქმა უნდა, კომიკურია იმის მტკიცება, რომ მეცნიერება სჭირდება ერს, ქვეყანას და სახელმწიფოს, მაგრამ შექმნილ პირობებში იძულებულნი ვართ, ეს გავაკეთოთ. ვერასდროს და ვერავის მივცემთ უფლებას, მათხოვარ ქვეყნად აქციოს დიახ, „პატარა“, მაგრამ დიადი საქართველო. ხომ კარგად გვახსოვს ბარათაშვილი: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება...“**

**ი. ბ.**

იუბილე

# ორწლიანი მიღწევებით ასიათასი მომხმარებლის წინაშე

## „მაგთისატი“ იუბილარია

22 იანვარს თბილისის ისტორიული მუზეუმი – ქარვასლა კოსმოსური სივრცის ანალოგი ჭერით, შესანიშნავი ბენდის მუსიკის აკომპანიმენტით დახვდა უამრავ სტუმარს. ღონისძიების მიზეზი კი საქართველოს პირველი ფასიანი თანამგზავრული ტელემაუწყებლობის – „მაგთისატის“ ორი წლის იუბილე იყო. იუბილარი კი დღესასწაულს ასი ათასზე მეტი მომხმარებლითა და სამი ახალი ციფრული სატელევიზიო არხით შეხვდა.

**ცნობისთვის: კომპანია SES თანამგზავრული მაუწყებლობის წამყვანი ოპერატორია, რომელიც 55 გეოსტაციონარული თანამგზავრის საშუალებით სატელიტურ საკომუნიკაციო სერვისს აწვდის ტელემაუწყებლებს, ინტერპროვაიდერებს, მობილურ და ფიქსირებულ ოპერატორებს, ბიზნეს და სახელმწიფო ორგანიზაციებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. SES ფლობს და მართავს ASTRA Satelite System-ს. აქვს წილები კანადისა და მექსიკის თანამგზავრულ კომპანიებში, ასევე სტრატეგიული წილი 03 Network-ის თანამგზავრული ინფრასტრუქტურის გაშვებაში.**

საიუბილეო საღამოზე „მაგთისატის“ ორწლიან მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს მაგთიკომის მარკეტინგის დირექტორმა ბატონმა **ირაკლი ლობჟანიძემ,** ბატონმა **ირაკლი წიქარიშვილმა** და SES-ის უფროსმა კომერციულმა დირექტორმა ევროპაში **ნორბერტ ჰიოლცლემ.** როგორც ირაკლი ლობჟანიძემ აღნიშნა დღესდღეობით „მაგთისატი“ მომხმარებელს სთავაზობს 100-ზე მეტ სტანდარტულ (SD) არხს სხვადასხვა პაკეტის ფარგლებში. SES-ის კუთვნილი ASTRA-ს მიერ მოწოდებული თანამგზავრული მაუწყებლის საშუალებით „მაგთისატის“ მომსახურება მთელ საქართველოშია ხელმისაწვდომი, მაღალი მთიანი რეგიონების ჩათვლით. აღსანიშნავია რომ ბაზარზე ორწლიანმა მუშაობამ ქართველი მომხმარებლების მხრიდან სატელიტურ ტელემაუწყებლობაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება აჩვენა არა მარტო რეგიონებში, სადაც სხვა სატელეკომუნიკაციო ქსელების გაყვანა ეკონომიკურად და პრაქტიკულად გაუმართლებელია, არამედ თბილისშიც კი, სადაც მომხმარებელი განებივრებულია ციფრული სახმელეთო-სატელევიზიო და IPTV გადაწყვეტილებებით. ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა მიღწევებთან ერთად აღსანიშნავია საქართველოსა და რეგიონში ციფრული მაუწყებლობის მოხმარების გლობალური ტენდენციებიდან და მომხმარებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, გასული წლის დასასრულს მაგთიკომისა და SES-ის ერთობლივი ძალისხმევით კავშირის



ახალი აღმავალი ხაზის სადგურის გაშვება. თავისი სიმძლავრითა და საოპერაციო მოცულობით ეს სადგური არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონშიც ერთ-ერთი დიდი სადგურია (ცნობისთვის, ანტენის რადიუსი 6,3 მეტრს აღწევს, ხოლო კონსტრუქციის საერთო წონა კი ექვს ტონაზე მეტია). ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ, რომ „მაგთისატის“ მომხმარებელთა რაოდენობამ უკანასკნელი წლის განმავლობაში 115 ათასს მიაღწია, „მაგთისატი“ კი ორი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი pay TV ოპერატორი გახდა. ეს კი განაპირობა მსოფლიო დონის თანამგზავრული ტელევიზიის დანერგვამ, რომელსაც უნიკალური კონტინენტი და მაღალხარისხოვანი სერვისი გააჩნია.

ბატონმა **გიორგი წიქარიშვილმა** „მაგთისატის“ იმ ახალ სამ კინოარხზე ისაუბრა, რომლებიც საახალწლოდ მიიღეს „მაგთისატის“ აბონენტებმა. ესენია **„მაგთი ჰიტი“, „მაგთი კინო“** და **„ჩვენი მაგთი“.** სატელევიზიო სარეკლამო რგოლებიდან ყველასათვის ცნობილია, რომ სამივე არხზე მაყურებელს შეუძლია მაღალი ხარისხის ყველაზე პოპულარული უცხოური კინოჰიტების („მაგთი ჰიტი“) ბოლო ოცწლეულის პოპულარული და მაღალშემოსავლიანი ფილმების („მაგთი კინო“) და ქართული მხატვრული და დოკუმენტური კინოშედევრების („ჩვენი მაგთი“) ხილვა. უცხოური ფილმები მრავალი მსახიობის მიერ მაღალპროფესიულ დონეზეა თარგმნილი და ფილმების ჩვენება ყოველგვარი სარეკლამო ჩართვების გარეშე მიმდინარეობს.

SES-ის უფროსმა კომერციულმა დირექტორმა ევროპაში ბატონმა ნორბერტ ჰიოლცლემ დამსწრე საზოგადოებას „მაგთისატის“ იუბილე მიულოცა, სტუმრებს ბოდიში მოუხადა, რომ მას ინგლისურ ენაზე მოუწევდა საუბარი და ყველას მადლობა გადაუხადა მოწვევისთვის. **„მე მოხარული ვარ, რომ ჩვენმა იდეამ გაამართლა და ორ წელიწადში, მართლაც უმოკლეს დროში ყველაზე წარმატებულ შედეგებს მივაღწიეთ. ჩვენი კომპანია მსოფლიოს 276 მილიონ ოჯახს 6 ათასზე მეტ არხს სთავაზობს. მომხმარებლიდან კი ასი ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქეა. გეგმაში გვაქვს ახალი თანამგზავრის ASTRA 5B-ის გაშვება, რომელიც საკმაოდ გააფართოებს არსებულ თანამშრომლობას SES-სა და მაგთიკომს შორის. ეს საშუალებას მოგვცემს წარმატებული პროექტების განხორციელებისა, ამით თანამგზავრული მაუწყებლობის ყველა უპირატესობა და პოტენციალი გამოვლინდება. ეს იქნება დამატებით 800 ახალი არხი, რომლის მიღებასაც ყველაზე მცირე ზომის ანტენებით შევძლებთ.**

შესანიშნავი საღამოს ორგანიზატორებს არც სხვადასხვა სახის გათამაშება და სასიამოვნო სიურპრიზები დავიწყნიათ მოწვეული სტუმრებისთვის. ნაჩვენები იქნა იუბილისადმი მიძღვნილი სპეციალური ვიდეორგოლი, სადაც პატარა „ექსპერტებმა“ „მაგთისატის“ ორწლიან მიღწევებზე ისაუბრეს, ხოლო ვირტუოზმა ნონა შიუკაშვილმა თავისი ხელოვნებით ქვიშაში გააცოცხლა კომპანიის ორწლიანი მოღვაწეობა.

იმედია, წლევანდელ წელსაც „მაგთისატი“ მომხმარებელს კვლავ მრავალი სიახლით წაახალისებს.

**მამუკა ვაშაკიძე**

ათ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ!

# საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა რადიაციული ნივთიერება?

ცოტა ხნის წინათ შსს-მ დააკავა ორი პიროვნება (მათ ვინაობას სამართალდამცავები, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ასახელებენ), ერთ-ერთის ბინის ჩხრეკისას პოლიციამ სარდაფში მიაგნო ტყვიის სპეციალურ კონტეინერში მოთავსებულ, სავარაუდოდ გასაყიდად გამზადებულ რადიაქტიურ ნივთიერება „რადიუმ-226“-ს: ექსპერტები ამბობენ, რომ ნაპოვნი, შესაძლოა მომწამვლელი ბომბის დამზადებისთვის ყოფილიყო განსაზღვრული, რასაც ტერორისტები ასაფეთქებელ ნივთიერებაში სერიოზული რადიაციული დაბინძურებისთვის დებენ. რეალიზატორთა და „რადიუმ-226“-ის წარმომავლობისა და მისი შემდგომი გამოყენების შესახებ შსს ინფორმაციის გაცემას გამოძიების დამთავრებისთანავე გეგმავს. წინასწარი მონაცემებით ორივე ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქეა. რადიაციული ნივთიერება დალუქულია და ამჟამად ფიზიკის ინსტიტუტშია განთავსებული. ფაქტის შესახებ კომენტარს არც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი იძლევა. მაგრამ მისი თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აღნიშნავს ჩვენი შსს-ს წარმატებულ ოპერაციას...

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნინო ჩხობაძე რადიუმ-226-ის დანიშნულებაზე ამბობს, რომ ნივთიერება შეიძლება გამოყენებულ იქნეს დასხივებისთვის, რაც იწვევს უმძიმეს დაავადებებს: კიბოს, ლეიკემიას და ა. შ. ჩხობაძის განმარტებით, ის შეიძლება გამოყენებული იქნეს ბინძური ბომბების დამზადებისთვის. რადგან კონტეინერებში იყო მოთავსებული. ე. ი. მას მყიდველიც ჰყავდა, რაც გავრცელების თვალსაზრისით ძალიან საშიშია, ასკვნის მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.




ექსპერტი მამუკა არეშიძე ამბობს, რომ 90-იან წლებში ჩვენი ქვეყანა რამდენჯერმე აღმოჩნდა ერთგვარი რადიაციული თემების ეპიცენტრში. აღრიცხული იყო რადიაქტიური ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით მესამე ქვეყნებში გადატანის ფაქტები. კერძოდ, შუა აზიიდან რუსეთში სწორედ საქართველოს გავლით გადაჰქონდათ ამგვარი ნივთიერება. არეშიძე 2013 წლის 3 აპრილის შემთხვევასაც იხსენებს, როდესაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მაღალი რადიაქტიურობის შემცველ ნივთიერებას მიაგნო. შეძენა-შენახვის ფაქტზე მაშინ დააკავეს კობა ვახტანგიშვილი, სიმონ ბერულაშვილი და ჯემალ ჭილაია. ექსპერტის განმარტებით ეს ნივთიერება იმდენად ძლიერმოქმედია, რომ მის სიახლოვეს ყოფნაც კი ადამიანისთვის ძლიერ სახიფათოა.

არეშიძე ანალიზს უკეთებს ჩვენთან მომხდარ მსგავს შემთხვევებს და ამბობს, რომ წინათ მომხდარის დროს ოფიციალური წყაროები გამოთქვამდნენ ვერსიას, თითქოს ამ საქმეში შემჩნეულნი იყვნენ მესამე ქვეყნების, განსაკუთრებით ისლამური სამყაროს წარმომადგენლები. კეთდებოდა დასკვნები, რომ ეს არის ისლამური ტერორიზმის პოლიტიკური ზემოქმედების საგანი. ექსპერტი ერიდება სავარაუდო მარშრუტის დასახელებას. ამის გამო გამოძიების დამთავრებას ელოდება.

ექსპერტი მარტყოფში 80-იან წლებში გახსნილ სამარხის თემასაც ეხება და აცხადებს, რომ ის გახსნიდან მალევე დაიხურა და მას რადიაციულ ნივთიერებებთან კავშირი არა აქვს.

იხ. 4 გვ.

ალიან-ჩალიანი

### დავით კეზერაშვილი დაინტერესდა, „აღდგა თუ არა საქართველოში სამართლიანობა“

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტს საფრანგეთში დავით კეზერაშვილთან კამერის გარეშე გასაუბრების საშუალება მისცეს. როგორც ჟურნალისტმა მარიამ ცარელაშვილმა საფრანგეთიდან პირდაპირი ჩართვისას განაცხადა, სასამართლო პროცესზე გამოცხადებული იყო 5-წუთიანი შესვენება, სადაც გამონაკლისი დაუშვეს და სასამართლოს სხდომათა დარბაზში შეუშვეს.

„მე მქონდა საშუალება, შორიდან გავსაუბრებოდი მას. დავით კეზერაშვილმა თქვა, რომ არაფრის თქმა არ სურდა ჟურნალისტებისთვის. თუმცა, საკმაოდ თბილად მოგვიკითხა და დაინტერესდა, თუ რა ხდება საქართველოში და აღდგა თუ არა სამართლიანობა“, “ განაცხადა მარიამ ცარელაშვილმა.

ექს-ან-პროვანსის სასამართლოში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ექსტრადირების საკითხს განიხილავენ. სხდომას თავად ბრალდებულიც ესწრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კეზერაშვილის ადვოკატმა შოთა მინდელმა განუცხადა, ის ფიქრობს, რომ დღევანდელ პროცესზე გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, რადგან საქმე ჯერ ამ ეტაპზე არ არის.

„თუმცა, ესაა ჩემი აზრი და ზოგადად ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, — აღნიშნა ადვოკატმა. მისივე თქმით, საფრანგეთის სასამართლოში კეზერაშვილის ინტერესებს ადგილობრივი ადვოკატები იცავენ.

### ლაშა ტუღუში ქართველ პოლიტიკოსებს საყვედურობს

ჟურნალ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით „უნიკალური სიმშვიდის“ გამო ქართველ პოლიტიკოსებს საყვედურობს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ტუღუშმა განაცხადა, ქართველმა ხალხმა მოძმე ხალხს, უკრაინელებს უნდა დაუჭიროს მხარი და მოქალაქეებმა ხმამაღლა უნდა გამოხატონ საკუთარი პოზიცია.

— მე მახსოვს, როდესაც საქართველოს უჭირდა, ისინი ჩვენს გვერდით იყვნენ. ჩვენ ვერ ვიქნებით გულგრილნი. მე საყვედური მინდა ვუთხრა პოლიტიკოსებს, რომლებიც უნიკალურ სიმშვიდეს იჩენენ. უნიკალურია ის, რომ ასე თავშეკავებულები არიან. მე არ მახსენდება ასეთი რამ. ადრე ასეთი რამ არ ხდებოდა. თავშეკავების უნარი კარგია, მაგრამ არის რაღაც სიტუაციები, როდესაც რაღაცის თქმა აუცილებელიც კია. მე მართლა არ მესმის ასეთი სტრატეგიული თავშეკავების, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ვითარებაში ქართულ პოლიტიკურ ელიტებს ახასიათებს, — აღნიშნა ლაშა ტუღუშმა.

მისივე შეფასებით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არის სერიოზული გამოწვევა ევროპისთვის, რადგან ადამიანები სწორედ ევროპული ორიენტაციისთვის იბრძვიან და ეს ფაქტიურად ომია ევროპისთვის.

ინტერპრესი



# ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის ჩინური ორიენტირები

**სს „საქართველოს რკინიგზა“ ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო კომპანიაა, ამდენად, მისი მოღვაწეობის წარმატება-წარუმატებლობები ბიუჯეტზე საკმაოდ სერიოზულ გავლენას ახდენს. არსებული მონაცემებით, შარშან ტვირთბრუნვის მოცულობა ქვეყნის სარკინიგზო დერეფანში საგრძნობლად შემცირდა, რამაც არაერთი, მათ შორის გადაზიდვების საფასურის მატების თაობაზეც მითქმა-მოთქმა გამოიწვია, პოლიტიკური ჭორის ელფერი მისცა. თვითბრუნვის შემცირების რეალური მიზეზების დასადგენად, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს კონსტანტინე გუნცაძეს მივმართეთ.**

— 2013 წელს საქართველოს რკინიგზით დაახლოებით 19 მილიონი ტონა ტვირთი გადაიზიდა და თუმცა, ეს მაჩვენებელი წინა წლისაზეც ნაკლები იყო, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს გარკვეული ობიექტური მიზეზებით გახლდათ განპირობებული, — გვითხრა მან. — უნდა ითქვას, რომ გადაზიდვების შემცირების მეტი წილი ძირითადად ყაზახური წარმოშობის ნედლ ნავთობზე მოდის, რაც მეზობელ ქვეყნებში კონტრაქტების პირობების შესრულების მხრივ გარკვეული პრობლემებით იყო გამოწვეული. იმის გამო, რომ **ნედლი ნავთობის მიწოდება დროებით იქნა შეჩერებული, შესაბამისად, მაის-ივნის-ივლისში „საქართველოს რკინიგზამ“ ამ პოზიციაზე ნულოვანი შედეგი მიიღო.** სამაგიეროდ 2012 წელთან შედარებით შარშან მოიმატა ნავთობპროდუქტების გადაზიდვამ. ეს კი, როგორც გითხარით, მოწმობს, რომ შეფერხებები ჩვენი მიზეზით არ მომხდარა — თუ ნავთობპროდუქტების გადაზიდვა შევძელით, ნედლ ნავთობსაც გადავზიდავდით.

რაც შეეხება სხვა სახეობის ტვირთებს, მათ შორის მნიშვნელოვანია მარცვლეულის, კერძოდ, **ხორბლის გადაზიდვა,** რომლის მაჩვენებელი 2013 წელს ასევე შემცირდა, თუმცა კი ამასაც ობიექტური მიზეზი ჰქონდა: სატრანზიტო მარცვლეული საქართველოს გავლით ძირითადად სომხეთში მიდის, რომლის ბაზარი ამ პროდუქციით გაჯერებული აღმოჩნდა, თანაც რუსეთსა და უკრაინაში მისი მოსავალი ნაკლები იყო. მესამე პოზიცია, რომელზეც გადაზიდვების მაჩვენებელი შემცირდა, **ალუმინის მადნისა და ალუმინის ნაწარმის გადაზიდვაა,** აზერბაიჯანში ალუმინის ქარხნის დახურვასთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, იკლო **იმპორტული სამშენებლო მასალების გადაზიდვებმაც,** რაც საქართველოში სამშენებლო ბიზნესის განვითარების ტემპის გარკვეული შენელებით იყო გამოწვეული. ამის მიზეზი, მოგეხსენებათ, ქვეყნისთვის ერთგვარად გარდამავალი წელი იყო, რაც მთლიანად ეკონომიკაზეც აისახა, თუმცა კი, ბოლო თვეების მონაცემებით, ვითარება თანდათანობით უმჯობესდება.

ეს ის ოთხი პოზიცია გახლავთ, რომელთა, ასე ვთქვათ, „ჩავარდნამ“, 2013 წელს საქართველოს რკინიგზით გადაზიდვების მთლიანი მაჩვენებლის გარკვეული კლება გამოიწვია. ვიმედოვნებ, რომ წლეულს ეს ჩამორჩენა აღმოიფხვრება, რადგან ვეყრდნობით გადამზიდველ კომპანიებთან დადებულ კონტრაქტებს, არსებული ვითარების ობიექტურ ანალიზს, თანაც, ამას დამატებული, გვაქვს რეზერვით გათვალისწინებული ბევრი შესაძლებლობა, რაც საქართველოს სარკინიგზო დერეფანს აქვს ტვირთების მოზიდვის თვალსაზრისით და ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

**— მაშასადამე, გადაზიდვების შარშანდელი მაჩვენებლის შემცირება თქვენს მიერ დასახელებული ობიექტური მიზეზების ბრალია და არა ტვირთების გადაზიდვის ფასის ზრდის, რასაც ზოგიერთი პოლიტიკოსი გიყენებდათ ბრალად და ამას გარკვეულ პირთა კომერციულ ინტერესებს უკავშირებდა?**

— საქართველოს რკინიგზით გადაზიდვის საფასური არ მომატებულა, იგი იგივეა, რაც სატარიფო პოლიტიკით იყო განსაზღვრული. ამასთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ ორიოდე თვის წინათ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ხელი მოეწერა შეთანხმებას შვიდ კომპანიას შორის, მათ შორისაა „საქართველოს რკინიგზა“, „ყახაზეთის რკინიგზა“, „აზერბაიჯანის რკინიგზა“, ბათუმის, აქტაუსა და ბაქოს ნავსადგურები, აგრეთვე აზერბაიჯანის საზღვაოსნო. ეს ის მთავარი მოთამაშეები არიან, რომლებიც ტრასეკას სატრანსპორტო დერეფანში გადაზიდვების საფასურს, გამტარუნარიანობას, კომფორტულობასა და სხვ. განსაზღვრავენ. შეთანხმების ფარგლებში საორგანიზაციო კომიტეტის შექმნაა დაგეგმილი, რომელიც შუა აზია-სამხრეთ კავკასია-ევროპის, ანუ ტრასეკას დერეფნის ორივე მიმართულებით ტვირთების გადაზიდვებისა და ლოჯისტიკური მომსახურების გაუმჯობესებასა და შემდგომ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, ამასთან, ხელს შეუწყობს ერთიანი სატარიფო პოლიტიკისა და გამჭოლი ტარიფების ჩამოყალიბებას. საბოლოოდ, შეთანხმების ყველა მხარე უნდა მივიდეს „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედებამდე, ვინაიდან, თუ გვსურს, რომ კონკურენტუნარიანები ვიყოთ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებების მიმართ, ერთობლივად უნდა ვიმოქმედოთ.

**— კონკურენტულ ბრძოლაში კიდევ რა მიმართულებებს მიაქცევთ ყურადღებას?**

— დიდად მნიშვნელოვანია ასევე ტრასეკას სატრანსპორტო დერეფანში ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნავსადგურებში, რომლებიც უაღრესად ხელისშემშლელია გადაზიდვების დროს. ლაპარაკია სატვირთო ნავსადგურებში ლოჯისტიკურ მომსახურებაზე, ვაგონების მიწოდებასა და სხვ.

კიდევ ერთი გარემოებაა ტვირთების გადაზიდვების სისწრაფე. ტრასეკას დერეფნის პოტენციური პარტნიორი გადამზიდველი კომპანიების დასაინტერესებლად ტვირთების გადაზიდვა იაფი, სწრაფი და უსაფრთხო უნდა იყოს, საამისოდ კი მის მთელ სიგრძეზე ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაა საჭირო. აღნიშნული საორგანიზაციო კომიტეტის მოღაწეობა შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში სარკინიგზო, საზღვაოსნო თუ ლოჯისტიკური კომპანიებისთვის ამ მხრივ ხელისშეწყობაზე იქნება მიმართული. დიდი მოცულობის ინვესტიციები ჩაიდება სარკინიგზო მაგისტრალების გამტარუნარიანობის გაზრდაში, სატვირთო ნავსადგურებში ახალი ტერმინალების მოწყობაში და სხვ.

**— სამომავლოდ რა პერსპექტივებს ხედავთ სარკინიგზო გადაზიდვების თვალსაზრისით?**

— რაც შეეხება გრძელვადიან გეგმებს, ეს, უწინარესად, ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის გლობალურ სატრანსპორტო სისტემებში ჩართავაა, მაგალითად, ჩინეთის მიმართულებით. თუ გვინდა, რომ ძველი აბრეშუმის გზა განვაახლოთ და ავამოქმედოთ, საამისოდ აუცილებელია ჩინური ტვირთების მოზიდვა, რომელიც ამჟამად მთავარი საქონელმწარმოებელი ქვეყანაა, რომლის გატანა დღესდღეობით საზღვაო გზით ინდოეთის ოკეანის გავლით სუეცის არხიდან ხმელთაშუა ზღვით ლოჯისტიკურად იაფი, მაგრამ ხანგრძლივია. საქმე ისაა, რომ ამჟამად ჩინეთის „ინდუსტრიული გული“ მის აღმოსავლეთ ნაწილშია, თუმცა, ბოლო დროს აქცენტები თანდათანობით ქვეყნის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილებისკენ, ანუ ყაზახეთთან საზღვრისკენ იწევს, სადაც რამდენიმე სასაზღვრო ქალაქი ინფრასტრუქტურულად მზადაა დიდი ოდენობით ტვირთების გასატარებლად. ამ პერსპექტივების გათვალისწინებით, ტრასეკას სატრანსპორტო დერეფანი მიმზიდველი უნდა გახდეს კომერციული თვალსაზრისით. ამდენად, აღნიშნული შვიდეულის ერთობლივი ინიციატივები ამ ლოჯისტიკურ ჯაჭვში ინტეგრირების გათვალისწინებით შემუშავდება. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ექნება ტრასეკას სატრანსპორტო დერეფანში ასევე თურქული ტვირთების მეტად მოზიდვას, რომლებიც შუა აზიისკენ გადაიზიდება. ამ მიმართულებითაც სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. კერძოდ, ბათუმში ამჟამად ახალი, 200 ათასტონიანი ტერმინალი შენდება, რომელშიც ტვირთები მანქანებიდან სარკინიგზო შემადგენლობებში გადავა. ეს გზა ავტოგადაზიდვებზე გაცილებით უფრო მოსახერხებელია და, რაც მთავარია, გადამზიდველებს გაცილებით იაფი დაუჯდებათ. ტერმინალის მომსახურებიდან და გადაზიდვების სატარიფო განაკვეთებიდან კი ქვეყნის ეკონომიკაში ყოველწლიურად დამატებით 5-7 მილიონი დოლარი დარჩება.

არის კიდევ სამხრეთ-ჩრდილოეთის სარკინიგზო დერეფნის განვითარების პერსპექტივა, კერძოდ, გეგმაშია ვალეში ტერმინალის მშენებლობა, რომელიც თურქეთიდან შემოსული ტვირთების შავი ზღვის ნავსადგურებისკენ წელიწადში 450 ათასი ტონის გატარებას შეძლებს.

სამომავლო გეგმებშია ასევე ტვირთების დასავლეთის მიმართულებით გადაზიდვებში ინტეგრაცია, რაც შავ ზღვაზე საქართველოს პოზიციების დაბრუნებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, ახლო მომავალში „საქართველოს რკინიგზა“ კონკურსში გამარჯვებულ ერთ-ერთ კომპანიასთან ერთად შვილეულ კომპანიას შექმნის, რომელიც საბორნე-სარკინიგზო გადაზიდვებით დაკავდება. როგორც ცნობილია, საქართველოს, უკრაინასა და ბულგარეთს შორის გაფორმებულია საბორნე-სარკინიგზო გადასასვლელების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პარიტეტულ უფლებებს მომსახურებაზე.

დიდად სამწუხაროა, რომ უკრაინაც და ბულგარეთიც ამ უფლებას იყენებს, საქართველოს დროშით კი შავ ზღვაში არც ერთი ბორანი არ დაცურავს. მიგვაჩნია, რომ ქართული ზღვაოსნობა შავ ზღვაში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს და ამ პროცესს საბორნე მიმოსვლებით დავიწყებთ, რაშიც მოკრძალებულ წვლილს „საქართველოს რკინიგზაც“ შეიტანს.

ყველაფერი ეს კომპანია „საქართველოს რკინიგზის“ წინაშე მდგარი გამოწვევებია, სტრატეგიული ამოცანებია, რომელთა გადაჭრა, საბოლოო ანგარიშით, უახლოეს 4-5 წელიწადში ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ღირსეული წვლილის შეტანის შესაძლებლობას მოგვცემს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## კაკალ გულში

- **დღეს არაფერი გაუქრია სევდია კოპერფილდს?**
- **სევდია VS პრომეთე (აძინიქსი).**
- **კიევში შაურმა რამდენი გრივნა ღირს?**
- **მაიცათ რა, დამთავრდება ოლიმპიადა და ბიატლონში რუსეთის ნაკრების წევრებმა იციან თავისი საქმე.**

**ხალხი!..ხალხი!..ხალხი, მხოლოდ... არჩევნებზე სჭირიათ, მერე ფეხზე იკიდებენ, ლხინია თუ ჭირია...**

- **ეს ფიქრია ჩიხრაძე და ბარნოვი რომელი პოლიტ-ექსპერტები არიან ჰა? ვაი ჩვენს პატრონ,! აი ამათ ანალიზს რომ უსმენს ხალხი...!!!!!**
- **მგონი კიევის მსხვერპლთან ერთად დასამარდება სოჭის ოლიმპიადა... იმ შემთხვევაში თუ კი საერთაშორისო თანამეგობრობას რამე სინდისი და აზროვნების უნარი გააჩნია .... სხვები თუ ვერა, იმედი მაქვს, ჩვენ მაინც მივხდებით და დამთავრდება ორპირობა „სპორტული დელეგაცია ჩავა და პოლიტიკური არა“... ღირსება ორად არ იყოფა! ან... ან!**

## წერტილოვანი ფრაზები

- **ქართულ მედიაში და სოციალურ ქსელზე, პოლიტიკოსებსა და საზოგადოების წევრებს შორის მიმდინარეობს კიევში განვითარებული მოვლენების გაშუქება-კომენტარები, კომენტარებში საუბარია უკრაინასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და პარალელებზე. გამოითქვა აზრი, რომ საქართველოში არ უნდა მოხდეს ის, რაც ხდება მოძმე უკრაინაში.**
- **თმენის უნარი ქართველებს საკმარისი გვაქვს, მაგრამ უსამართლობას ვერავინ მოითმენს. ხელისუფლებამ უნდა ითანამშრომლოს საზოგადოებრივ სექტორთან და საკუთარი სიამტკბილობისთვის არ უნდა გამოიყენოს ქვეყნის სათავეში ყოფნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მაგალითების ალება, გადმოტანა და მიმბაძველობა, არაფერ შუაშია... ეს არც ნოვაციაა და არც რაიმე ახალი ხილი. ასე ცხოვრობს ცივილური სამყარო და კარგი იქნება, თუ ჩვენც, ქართველებიც ამ სამყაროს წევრები გავხდებით...**




**მოკლედ, ძალიან მარტივია იმ საზოგადოებისთვის, ვინც — „რწყილი და ჭიანჭველა“ შექმნა...**

- **მაგ უკრაინელ სპეცნაზის ზონდერებსაც ჩვენი მთავრობა დააწინაურებს ნეტა?**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

# მსოფლიო „ჟენევა-2"-ის მოლოდინში




**იანვრის მეორე ნახევარი საინტერესო პოლიტიკური მოვლენებითაა დახუნძლული. სეზონი დავოსის ყოველწლიურმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა თავყრილობამ გახსნა, რომელშიც საქართველოს პრემიერ-მინისტრიც იღებს მონაწილეობას. 22 იანვარს დაიწყო „ჟენევა-2"-ის კონფერენცია სირიის საკითხთან დაკავშირებით.**

იანვარში მოხდა ირან-„ექვსეულის" ტექნიკური შეხვედრა, რომელმაც ჟენევაში მიღწეული წინასწარი შეთანხმებიდან გამომდინარე, მრავალი საკითხები განიხილა, 20 იანვრიდან დაიწყო ნახევარწლიანი ხელშეკრულების შესრულების ათვლა, რომლის წარმატებით დასრულებაც გზას გახსნის სრულფასოვანი ხელშეკრულების გაფორმებისკენ.

**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გასული წელი ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის სრული ტრიუმფის წელი იყო, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარი, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც გაიმარჯვა რეფორმატორად წოდებულმა ჰასან როუჰანიმ. დღიდან გამარჯვებისა, უფრო სწორად ინაუგურაციისა, ახალი პრეზიდენტი აქტიურად შეუდგა იმ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას, რაც მან ხალხთან შეხვედრის დროს გააკეთა.**

ჰასან როუჰანი, გამარჯვებული პრეზიდენტის უიშვიათესი წარმომადგენლია, რომელმაც სავარძლის დაკავებასთან ერთად დაიწყო ირანელთათვის მიცემული დაპირებების დაუყოვნებლივი შესრულება. მრავალ დაპირებათა შორის იყო მთავარი — დასავლეთთან საერთო ენის გამოძებნა, თუნდაც ისეთ რთულ საკითხებში, როგორიცაა ირანის ბირთვული კვლევები, ურანის გამდიდრების პროგრამის „მაგატეს" ექსპერტებისთვის გაცნობა და აქედან გამომდინარე, ირანის ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

ყველაფერი დაიწყო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ახალი პრეზიდენტის გამოსვლით, რომელიც იყო ლაკონური, პრაგმატული, აგრესიული რიტორიკიდან დაცლილი, ვითარების გაუმჯობესების დიდი სურვილით გაჯერებული. ნიუ იორკში ყოფნის დროს, ამერიკულ მხარესთან გაიმართა შეხვედრა, რომელიც წინგადადგმული ნაბიჯი იყო 34-წლიანი გაუცხოვებისა და ურთიერთკინკლაობის ფონზე.

გასული 40 წელი აღსანიშნავი იყო უპირველესად იმით, თუ როგორ იგერიებდა ახალგაზრდა ისლამური სახელმწიფო მსოფლიოს ნომერ პირველი ქვეყნის გამუდმებულ ღია თუ ფარულ აგრესიას.

**იყო 8-წლიანი ომი ერაყთან — აშშ-ს მიერ ინსპირირებული და ვაშინგტონის მხარდაჭერილი, ცხადია სადამ ჰუსეინის სასარგებლოდ. მანამდე იყო ირანელი ახალგაზრდების მიერ თეირანში, აშშ-ის საელჩოს ბლოკადა, რომლებმაც ამ აქტით გამოხატეს თავიანთი გულისწყრომა აშშ-ის მიერ ირანელთა საძულველი შაჰის რეზა ფეჰლევის მხარდაჭერის გამო.**

იყო ირანის დედაქალაქში განხორციელებული ტერაქტების სერია, რომელთაგან ერთ-ერთმა ირანის ახალი მთავრობის სრული შემადგენლობა გაანადგურა. იყო ის, რასაც ჰქვია აშშ-ის მიერ ირანის ნომერ პირველ მტრად შერაცხვა და, აქედან გამომდინარე, ირანის გაშავება მსოფლიოს მასმედიის საშუალებით.

იყო და არის აშშ-ის მიერ ინიცირებული და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ეკონომიკური სანქციები, რომლებმაც ირანის მოსახლეობის ცხოვრებას სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა. აშშ-ის ადმინისტრაციის დაჟინებული მოთხოვნით ევროკავშირმა, სხვა ქვეყნებმა საკუთარი სანქციები დააწესეს ირანის წინააღმდეგ. გართულდა ირანული ნავთობის ექსპორტი და საბანკო ოპერაციები. ფაქტობრივად, ირანი აღმოჩნდა ბლოკადაში, რომელმაც გააუარესა ირანელთა სოციალური ყოფა.

**ეკონომიკური სანქციები არ იქნებოდა, რუსეთსა და ჩინეთს მხარი რომ არ დაეჭირათ ამერიკელებისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს კენჭისყრის დროს. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან გადაიდგა ეს ნაბიჯი, რამაც რუსეთ-ირანის კონსტრუქციულ ურთიერთობებში სინანულის ელემენტი გააჩინა.**

უშიშროების საბჭოს კენჭისყრა რუსეთ-ამერიკის კულუარული მოლაპარაკებების ნაყოფადაც შეიძლება ჩაითვალოს, რაზეც ხშირად ამახვილებენ ყურადღებას სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები, **მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, რუსეთის მხრიდან არ ღირდა ამერიკის წისქვილზე წყლის მიშვება. არ ღირდა იმიტომ, რომ მას არ მოჰყოლია აშშ-რუსეთის ურთიერთობების ისეთი გაუმჯობესება, რასაც კრემლი მოელოდა.**

„გადატვირთვა" დასრულდა, მაგრამ ამ პროცესიდან გამომდინარე, ცუნამის სიძლიერის ძვრები არ ყოფილა, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან აშშ-ი დასავლეთის ტიპური წარმომადგენელია, რომლისთვის ჩვეულებადაა ქცეული გემოგასული სალეჭი რეზინის გადაფურთხება. ამერიკისთვის მთავარია საკუთარი ინტერესების დაცვა და ამ ინტერესებისთვის დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხებით ბრძოლა.

**ამერიკა ყოველთვის გაუცინებს რუსეთს პოლიტიკურ სცენაზე, მაგრამ პარალელურად, კულისებში ანტირუსულ კამპანიას გააჩაღებს.** ამის ნათელი დასტურია აშშ-ის ადმინისტრაციის განაცხადება, რომ ბოიკოტს არ უცხადებს სოჭის ოლიმპიადას, მაგრამ ხელისუფლება არ დაესწრება მას. არანაკლებ საგულისხმოა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაც, რომელიც აფრთხილებს სოჭში წამსვლელ თავის მოქალაქეებს, მოჭარბებული ყურადღებით იყვნენ მოსალოდნელი ტერორისტული აქტების გამო, თან მხედველობაში მიიღონ ის, რომ სოჭში სასტუმროების დეფიციტია, გარდა ამისა, რუსეთში აკრძალულია გეიმიტინგები და გამოსვლები.

და ეს ის უწყებაა, რომლის ხელმძღვანელი ჯონ ქერი, თავისი რუსი კოლეგის თხოვნის საპასუხოდ, ჟენევაში გამართული მოლაპარაკების წინ, აიდაჰოს ფალოსური ფორმის კარტოფილებს გადასცემს. და არა მარტო კარტოფილებს, აშშ სპეცსამსახურების თანამშრომლებსაც აგზავნის მოსკოვსა და სოჭში, ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

პარადოქსებით არის აღსავსე საერთაშორისო ურთიერთობები. ძნელია მის ჩახლართულ ლაბირინთებში გარკვევა, მაგრამ ისეთი დიდი და პრეტენზიების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც რუსეთია, შავის და თეთრის ერთმანეთისგან გარჩევა ძნელი არ უნდა იყოს.

**ამერიკის ადმინისტრაციის პოზიციამ, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე დასწრებასთან დაკავშირებით, როგორც ბრძანებამ ისე იმოქმედა მის მოკავშირე ევროკავშირის ქვეყნების ხელმძღვანელებზე, რომლებმაც, ყურით მოთრეული მიზეზით, უარი თქვეს სოჭში გამგზავრებაზე.**

**ესეც თქვენი „გადატვირთვა". სრულიად დასავლეთმა მამათმავალთა კურტუმოს ქნევის დონეზე დაიყვანა ოლიმპიური თამაშები, ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატებმა, რუსეთის პრეზიდენტისთვის მიწერილი წერილით, სადაც მკაცრი მოთხოვნაა რუსეთის მიერ მიღებული გეიპროპაგანდის საწინააღმდეგო კანონის გასაუქმებლად, დასავლეთის ნამდვილი სახე გამოავლინა.**

**ბარაქალა თქვენს მარჯვენას, რომელმაც ხელი მოგაწერინათ დოკუმენტზე. მსოფლიოში, სადაც შიმშილით ყოველ წუთს ათეულ ათასობით მცირეწლოვანი ბავშვი კვდება, მამათმავლების „გაგულავებაა" მთავარი? მამათმავლობა გადაარჩენს მსოფლიოს? დარწმუნებული ვარ, გათხოვილ ყოფილ ვიცე-კანცლერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს გიდო ვესტერველეს, სხვა მაღალჩინოსან გეებს ასე ჰგონიათ, მაგრამ ასეა საქმე?**

აშშ ყოველთვის იქნება გეების ინტერესების დამცველი და გეების ინტერესების წინააღმდეგ ამხედრებული რუსეთის ხელისუფლების გამკიცხავი. და არა მარტო გეების საკითხში, სხვა უფრო მნიშვნელოვანში — სახელმწიფო პოლიტიკა და ინტერესები რომ ჰქვია.

ამერიკელთა შეხედულებების მიუხედავად, რუსეთს თავისი ინტერესები უნდა ჰქონდეს, თუნდაც ისეთი, 16 იანვარს რომ მოხდა. ამ დღეს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ირანისა და სირიის საგარეო საქმეთა მინისტრები მიიღო შვეიცარიის ქალაქ მონტროში „ჟენევა-2" კონფერენციის საკითხებთან დაკავშირებით. რუსეთი დაბეჯითებით მოითხოვდა კონფერენციაში დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის ირანისა და საუდის არაბეთის მონაწილეობას. აშშ არ იზიარებდა რუსეთის მოსაზრებას ირანის მონაწილეობასთან დაკავშირებით. კონფერენციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ირანმა მიიღო მიწვევა, მაგრამ უმალ მოხდა მისი უკან წაღება სირიის ხელისუფლების ოპოზიციის და აშშ-ის მოთხოვნის შედეგად.

პუტინთან შეხვედრის დროს განხილული იქნა რუსეთ-ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხიც. გადაწყდა, რომ რუსეთი შეიძენს ირანის ნავთობს, რაც ვაშინგტონს არ სიამოვნებს. რუსეთის მხრიდან დაბეჯითებით ითქვა, რომ მოხდება ირანული ნავთობის იმპორტი, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ეს აშშ-ს.

გასული წლის მიწურულს აშშ-ს კონგრესმა გადაწყვიტა თავი შეეკავოს ირანის მიმართ ახალი ეკონომიკური სანქციების შემოღებაზე. მკითხველს შევახსენებ, რომ „ქორი" რესპუბლიკელები, ისეთები, როგორებიცაა სენატორი მაკკეინი, სხვები, კატეგორიულად მოითხოვდნენ ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების ამოქმედებას და ეს მაშინ, როდესაც საგრძნობი პროგრესი აღინიშნა „ექვსეულ"-ირანის მოლაპარაკებაზე. მოთხოვნის მიზეზი პრიმიტიული იყო — ირანი მოგვატყუებს და ურანის გამდიდრებას გააგრძელებსო.

კონგრესის გადაწყვეტილება ასეთია — ვიდრე წინასწარი შეთანხმების გამოსაცდელი ვადა მოქმედებს, ახალი ეკონომიკური სანქციების შემოღება წერტილს დაუსვამს პროგრესს. კონგრესის წინაშე გამოსვლის დროს სახელმწიფო მდივანმა ქერიმ აღნიშნა: „ჩვენ დავუბრუნდებით სანქციების საკითხს იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი შეთანხმება უშედეგო გამოდგება. ამჟამად ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და სანქციების შემოღება ზიანს მოუტანს შეთანხმებას".

ნავთობიანი და გაზიანი ირანი, ამავდროულად, ბირთვული იარაღის გარეშე, სასურველი პარტნიორია ევროკავშირისთვის. ეს რომ ასეა, თეირანში ევროპარლამენტის დელეგაციის ვიზიტითაც დამტკიცდა. საქმიანი კონტაქტები აღდგა „მაგატესთანაც". ამ ორგანიზაციის ექსპერტებმა გასული წლის ბოლოს გასინჯეს არაკის მძიმე წყლის რეაქტორი. „ირანმა გამოავლინა სრული გამჭვირვალობა", — ითქვა მათი მხრიდან.

გასული წლის დეკემბერში ირანში იმყოფებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი. ამ ვიზიტის დროს განხილულ საკითხებთან ერთად, იყო „ჟენევა-2" კონფერენციის საკითხი, მაგრამ...

ლავროვის ვიზიტი სხვა მოსაზრებითაც იყო გამოწვეული, უპირველესად, ირანში რუსეთის პოზიციის განსამტკიცებლად. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წინასწარი შეთანხმებით არის დაგეგმილი, მოხდება ირანის დასავლეთთან, კერძოდ აშშ-სთან და ევროკავშირთან დაახლოება, რაც თავისთავად იმოქმედებს რეგიონში რუსეთის პოზიციების შესუსტებაზე.

**ექსპერტთა გათვლით, აშშ შეეცდება ირანთან აღადგინოს ძველი ურთიერთობები არა მარტო ეკონომიკის დარგში. 80-მილიონიანი ირანი სწორედ ის მსუყე ლუკმაა, რომლის მირთმევასაც შეეცდება აშშ. გარდა ამისა, ირანში ფეხმოკიდებული ამერიკა თავის გავლენას გააფართოებს კასპიისპირა ქვეყნებში, პაკისტანში, ინდოეთში, კავკასიაში, რითაც სერიოზულ ზიანს მიაყენებს ამ რეგიონში რუსეთის ინტერესებს. ამდენად, ირანთან მჭიდრო ურთიერთობას, რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.**

ირანის წინა, კონსერვატიულ ხელისუფლებას რუსეთი მრავალ საკითხში მთავარ იმედად მიაჩნდა, განსაკუთრებით სანქციების მოხსნის თვალსაზრისით. ახალი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აშშ-სა და ევროკავშირის გარეშე ეს პრობლემა არ გადაიჭრება. ახალი ირანი აინტერესებს დასავლეთს, მაგრამ რუსეთსაც აინტერესებს ის და არ აპირებს პოზიციების დათმობას, როგორც ირანში, ისე რეგიონში.

რას სთავაზობს რუსეთი ირანს? უპირველესად, კოსმოსის დარგში თანამშრომლობას. რუსეთი დაეხმარება ირანს ხელოვნური თანამგზავრის გაშვებაში. მეორე — თანამშრომლობას ენერგეტიკის საკითხებში, განსაკუთრებით ატომურში. ამ დარგში რუსეთ-ირანი რა ხანია მუშაობენ. მესამე — სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას. სამივე მიმართულებით რუსეთს, დასავლეთთან შედარებით, პრიორიტეტული პოზიციები უკავია, მაგრამ მათი აღსრულება მხოლოდ სანქციების მოხსნის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

რუსეთ-ირანის ტანდემის გამარჯვებაზე მიანიშნებს დასავლეთის პოზიციების შეცვლა სირიის ხელისუფლების, კერძოდ, ბაშარ ასადის მიმართ. დასავლეთი აღარ გამოდის „ჟენევა-2" კონფერენციაში სირიის ხელისუფლების მონაწილეობის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, დასავლეთი აღარ მოითხოვს ბაშარ ასადის გადადგომას. პირიქით, ის მიიჩნევს, რომ გადადგომის შემთხვევაში ქვეყანაში გამეფდება ქაოსი და რადიკალი ექსტრემისტების მიერ ხელისუფლების უზურპაცია. საინფორმაციო-სააგენტო „როიტერის" მიხედვით, ახალი აქცენტები ბაშარ ასადის მისამართით აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ისმება, რაც თავისთავად აახლოებს რუსეთის და მათ პოზიციებს. ყოველივე ეს კი ანერვიულებს საუდის არაბეთს, რომელსაც დღემდე ვერ მოუნელებია აშშ-ის უარი სირიის დაბომბვაზე.

სირიის კონფლიქტმა სპარსეთის ყურის ქვეყნებში სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია. არაბულ ქვეყნებში სუნიტები და შიიტები ფულს აგროვებენ კონფლიქტში მონაწილე მხარეების დასახმარებლად. საუდის არაბეთი, რომელიც სირიის რადიკალებს აფინანსებს, ცდილობს ირანის წინააღმდეგ გააერთიანოს არაბული ქვეყნები.

ისლამის ორ შტოს — სუნიტებსა და შიიტებს შორის განხეთქილება არა მარტო სირიაში შეინიშნება, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც. რეგიონის ზოგიერთი მონარქია, მათ შორის საუდის არაბეთი, იარაღითა და ფულით ეხმარება „ალ-ქაიდასთან" დაახლოებულ ორგანიზაცია „ან ნუსრას".

ქუვეიტში, სადაც წლების განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სუნიტები და შიიტები, დაპირისპირება შეინიშნება. ქუვეიტელი სუნიტები სერიოზულ ფინანსურ დახმარებას უწევენ სირიის ანტიასადურ ძალებს.

არც სხვა ქვეყნებშია დამშვიდებული ვითარება, რაც თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, რომ სირიის კონფლიქტმა უკვე გადალახა ამ ქვეყნის საზღვრები და სხვადასხვა ფორმით რეგიონის ქვეყნებს მოედო.

სწორედ მეტასტაზების შესაჩერებლად არის განპირობებული „ჟენევა-2" კონფერენცია. სწორედ მან უნდა დაუსვას წერტილი სირიის ომს და, აქედან გამომდინარე, მრავალ პრობლემას. სწორედ მან უნდა დააფიქსიროს დასავლეთისა და რუსეთის ერთიანი პოზიცია კონფლიქტის



მოგვარებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგიონის აფეთქება გარდაუვალი იქნება. „ჟენევა-2" გვიჩვენებს, თუ რამდენად შეჯერდება პოზიციები.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## მემორანდუმი



# სახალხო სათათბიროს მთავარი თემა იქნება: კლანური მმართველობა აჭარაში, სავალალო საკადრო პოლიტიკა და მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიება

**დღეს, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში, ქართველი ხალხის გამარჯვების მიუხედავად, კოჰაბიტაცია არა თუ დამთავრდა, არამედ კიდევ უფრო მტკიცდება და თავისი უარყოფითი შედეგებით სამუდამოდ დამკვიდრებას გვიქადის, თუ ჩვენ, ხალხმა, არაფერი ვიღონეთ.**

**მოსახლეობა უსამართლობის გრძნობას განიცდის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისათვის ზრუნვა გამოიხატება მხოლოდ თბილისის მერის გიგი უგულავას და ვანო მერაბიშვილის ირგვლივ გამართული უშედეგო ხმაურით. ამ დროს კი მთლიანად ქვეყანაში, კერძოდ, რეგიონებში, სრული განუკითხაობა და უსამართლობა სუფევს. ამის ნათელი მაგალითია აჭარა, სადაც ნაციონალური მოძრაობის წევრთა და „ქართული ოცნების" ნიღაბს ამოფარებულ ადამიანთა სრული აღზევების პროცესი მიმდინარეობს. ისინი იგივე კადრებითა და მეთოდებით კვლავინდებურად აგრძელებენ სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ ანტიეროვნულ პოლიტიკას. სამწუხარო ფაქტები თავისთავზე მეტყველებენ. წესიერი, სინამდვილეში ერის გულშემატკივარი ადამიანები, რომლებიც ასევე კარგი სპეციალისტები არიან თავიანთი საქმისა, ვინც რეჟიმის წინააღმდეგ თავს არ ზოგავდა სიცოცხლის ფასადაც კი, კვლავ შევიწროებასა და იგნორირებას განიცდიან.**

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება კოჰაბიტაციის შედეგად მიღებული ან უსამართლობის დასასრულის იმედს იძლევა. დაპირება, რომელიც უსაფუძვლო აღმოჩნდა. დაუცველობის გრძნობით შეპყრობილი ადამიანები მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან, ოჯახისა და თავის გადასარჩენად კვლავ თურქეთსა და სხვა ქვეყნებში ეძებენ თავშესაფარს. საკუთარი კომფორტისათვის ზრუნვით დაკავებული ადამიანები, რომლებმაც გამარჯვებული ხალხის სახელით მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტის წყალობით დაიკავეს მაღალი თანამდებობები, შორს დგანან ხალხის ინტერესებისაგან. პირიქით, ისინი „ქართული ოცნების" ნიღაბს ამოფარებულები, ყველა პირობას ქმნიან იმისთვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რაზეც ძირითადად დამოკიდებული იქნება ქვეყნის მომავალი განვითარება, ნაციონალური მოძრაობა წარმოდგენილი იყოს ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ ძალად. ნაციონალური მოძრაობის წევრთა უცვლელად მაღალ თანამდებობებზე დატოვება, „ქართული ოცნების" ხელმძღვანელობისა და დეპუტატების მათთან შეხმატკბილებული პოლიტიკა, მათ უქმნით საჭირო ბერკეტებს ადგილობრივ არჩევნებში წარმატებისათვის, სააკაშვილის ანტიეროვნული პოლიტიკის გასაგრძელებლად.

დღეს, როდესაც საფრთხე ექმნება არჩევნებში ხალის მონაპოვარს, უსამართლობა და განუკითხაობა სუფევს ყველგან, კვლავ საფრთხის წინაშე დგას ქართველი კაცის მეობა, ერის ღირსეული მომავალი, ასეთ დროს უსამართლობაზე მხოლოდ წუხილი, ცალკეული საუბრები, შედეგს ვერ მოიტანს, უფრო მეტიც, გულგრილობისა და ღალატის ტოლფასია.

ამიტომ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერები, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შევთანხმდით, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ქართველი ხალხის მონაპოვრის გადასარჩენად, სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით, მტკიცე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის გავერთიანდეთ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ერთობლივი, აქტიური მონაწილეობის მისაღებად, პრინციპით: **„ზნეობა, მამულიშვილობა, ერთობა — სამართლიანობისთვის"**. ამიტომ საჭიროა.:

***ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს კოჰაბიტაციის შედეგებისა და სააკაშვილის ანტიეროვნული პოლიტიკის იდეოლოგიისაგან;***

***განვთავისუფლდეთ კლანური მმართველობისა და ნეპოტიზმისაგან;***

***უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენს ქვეყანაში ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები; დაცული იყოს მოქალაქის სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის, საკუთრების, შემოქმედების, გამოხატვის, შრომის, არჩევნებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები;***

***მშობლიური ენის, მამულის და სარწმუნოების ღირსეულად მოვლა-პატრონობისთვის, ღვაწლმოსილ წინაპართა სახელების უკვდავსაყოფად.***

***აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილ თანამემამულეთა ინტერესების დაცვა ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად უნდა ვაქციოთ;***

***ყველაფერი უნდა გაკეთდეს ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;***

***განათლების სისტემაში უნდა აღსდგეს ეროვნული იდეოლგია: წინა პლანზე უნდა დადგეს მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტული და ზნეობრივი აღზრდის საკითხი;***

***უნდა ვიზრუნოთ მასწავლებლის ავტორიტეტის აღდგენისათვის...***

***ყველაფერი უნდა ვიღონოთ ეროვნული დოვლათის წარმოების ხელშესაწყობად, რაც უმთავრესი პირობაა მიგრაციული პროცესების შესაჩერებლად და დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;***

***არასამთავრობო ორგანიზაციები დაფინანსდეს საქართველოს ბიუჯეტიდან და არა უცხო ქვეყნებიდან, რის შედეგადაც ისინი უპირველესად მათი ინტერესების გამტარებელნი ხდებიან;***

***უნდა ვიზრუნოთ მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის;***

***გამკაცრდეს კონტროლი და სასჯელი სახელმწიფო ხაზინის გამფლანგველთა და არამიზნობრივად მხარჯველთა მიმართ;***

***არაფერი არ უნდა დავიშუროთ შრომის, ომის და სპორტის ვეტერანთა ღირსეული დაფინანსებისთვის;***

***უნდა დავიცვათ ეკომიგრანტთა და კაბალური იპოთეკით დაზარალებული მოსახლეობის ინტერესები;***

***გაერთიანება იზრუნებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის, ღირსეული, მოაზროვნე, სუფთა ავტორიტეტის მქონე კადრების წარმოჩენისა და მათი გამარჯვებისათვის, რაც სამართლიანობის დამკვიდრებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის განვითარებისათვის მთავარი საფუძველია;***

***დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს პოლიტპატიმრებისა და უკანონოდ გასამართლებულ პირთა რეაბილიტაცია;***

***დროულად უნდა შემუშავდეს ბუნების დაცვის მექანიზმები;***

***დავიცვათ გენდერული თანასწორობა.***

მხოლოდ ასე შეიძლება ყოვლისმომცველი გლობალიზაციის პირობებში შევინარჩუნოთ ჩვენი ქართული, ეროვნული სახე და ღირსეულად წარვსდგეთ თანამედროვე გამოწვევების წინაშე.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის მიმართვაში არაერთხელ განაცხადა, რომ მას უფრო აინტერესებს მოსახლეობის აზრი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, ვიდრე პოლიტიკურ ოპონენტთა უსაფუძვლო კრიტიკა.

აქედან გამომდინარე, უახლოეს დღეებში გაერთიანებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ორგანიზებით მოვიწვევთ აჭარის სახალხო სათათბიროს თემაზე — **კლანური მმართველობა აჭარაში, სავალალო საკადრო პოლიტიკა და მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიება.** სათათბიროზე მიღებული გადაწყვეტილება რეაგირებისათვის გადაეცემა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს.

იმედი გვაქვს, რომ პრემიერ-მინისტრი ობიექტურად შეაფასებს შექმნილ მდგომარეობას და დადგენილ ვადებში შესაბამის პასუხს გაგვცემს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ჩვენი მომავალი სამოქმედო გეგმები.

აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი — **ნიაზ ბოლქვაძე,** „ქართული ოცნება სამართლიანობისათვის აჭარაში" — **რევაზ მსხილაძე,** ყოფილი პოლიტპატიმართა საინიციატივო ჯგუფი — **მერაბ გორგაძე,** „2011 წლის 26 მაისი — მამული, ენა სარწმუნოება" — **თენგიზ ცეცხლაშვილი,** ა(ა) ია „მწიგნობარი" საგანმანათლებლო ორგანიზაცია — **მანანა წულუკიძე,** ცხოველთა უფლებების დაცვა „ბუნების შვილები" — **ნანა საფარიძე,** ცხოველთა უფლებების დაცვა „კეთილი სახლი" — **დალი ნაკაშიძე,** ცხოველთა უფლებების დაცვა „უტყუარი მეგობარი" — **ინგა რიჟამაძე,** იპოტეკით დაზარალებულთა ასოციაცია აჭარაში, საინიციატივო ჯგუფი „მზრუნველი" — **ლილი მორჩაძე,** აჭარაში აფხაზეთიდან დევნილთა რეგიონალური ორგანიზაცია — **ინვერ ფირცხალავა,** აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია — **შალვა ტაბაღუა,** საინიციატივო ჯგუფი „მზრუნველი" — **მარინა მჟავანაძე,** პედაგოგთა უფლებების დაცვის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია — **გოდერძი ახალაძე.**

ქ. ბათუმი. 2014 წლის 10 იანვარი

## ათ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ!

# საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა რადიაციული ნივთიერება?

(მეოთხე გვერდიდან)

სპეციალისტები კი იმ დროს იგონებენ, როდესაც წინა ხელისუფლების დროს მცხეთასთან მომხდარმა ინციდენტმა მთელი საქართველო შეძრა. უამრავმა პოლიციელმა და სპეცნაზელმა მცხეთაში ალყა შემოარტყა საკმაოდ დიდ ტერიტორიას, ახლოს არავის არ უშვებდნენ. ალყა გრძელდებოდა დღითა და ღამით. ტერიტორიიდან ისმოდა მძიმე ტექნიკის ხმა. საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ ითხრებოდა ახალი რადიაქტიური ნივთიერების სამარხი. ეს პერიოდი საეჭვოდ დაემთხვა იმ დროს, როდესაც გერმანელმა გარემოს დაცვის აქტივისტებმა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად კატეგორიულად მოითხოვეს, ხელისუფლებას უარი ეთქვა საფრანგეთისათვის ჩვენს ტერიტორიაზე მათი რადიაქტიური ნივთიერებების დამარხვაზე. საზოგადოების მოთხოვნამ გაჭრა. მაშინ გაჩნდა იმის ეჭვი, რომ უარყოფილი ტვირთის სარკოფაგებში მოთავსებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აპირებდნენ. მოარული ხმები კიდევ უფრო გაამძაფრა გარემოს დაცვის სამინისტროს განცხადებამ, რომ საქართველოს სჭირდებოდა თავისი რადიაქტიური ნივთიერებების სამარხი, ეს მაშინ, როდესაც მსგავსი ნარჩენების „მწარმოებელი" დაწესებულება ჩვენთან არ ფუნქციონირებდა. იგივე ვითარებაა დღესაც.



ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ სკეპტიკოსებიც. მათი განმარტებით რადიაქტიური ნივთიერებების „მწარმოებელი" ძლიერნი ამა ქვეყნისანი ცდილობენ, ნარჩენები თავიანთ სახელმწიფოს, ხალხს მოაშორონ და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე დამარხონ. ამისთვის არ იშურებენ სოლიდურ ფინანსურ დახმარებებს, „განვითარებად ქვეყნებს სთავაზობენ მთელ რიგ შეღავათებს, ხოლო ხელისუფლებებს — სათავეში ყოფნის შენარჩუნებაში ხელის შეწყობას! საზოგადოების ნაწილმა, იცოდა რა სააკაშვილის რეჟიმის მატერიალური კეთილდღეობისადმი უზომო სწრაფვა და ხელისუფლებაში დარჩენის არნახული სურვილი, სამარხების ქვეყანაში აშენების პერსპექტივა სულაც არ მიაჩნდათ საღ აზრს მოკლებულად.

სარკოფაგებთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი მალე განელდა და ჩაცხრა.

რაც შეეხება შსს-ს მიერ გამოვლენილ რადიაქტიური ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტს, ამ ბრალდებით დაკავებულებს სისხლის სამართლის კანონმდებლობით 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

**ზაზა ბილიხოძე**

**◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# რა „ამუხრუჭებს“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარებას?

## თბილისსა და მოსკოვს განსხვავებული პასუხები აქვთ

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი მიიჩნევს, რომ „მიუხედავად გაუმჯობესების ნიშნებისა და კონკრეტული ნაბიჯებისა“, თბილისის ოპოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით „ამუხრუჭებს“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარებას.**

**„ძალიან ხშირად პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ ვაწყდებით ამ პრობლემას — საქართველოს მიერ იმ რეალიების ულიარებლობას, რომლებიც რეგიონში ჩამოყალიბდა. და ეს პერიოდულად დაგვამუხრუჭებს ჩვენ და ჩვენს ურთიერთობებს“,** — განაცხადა ლავროვმა 21 იანვარს პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების ინიციატივით 2012 წელს დაიწყო პირდაპირი დიალოგი საქართველოს და რუსეთის წარმომადგენელთა შორის, რის შედეგადაც მოსკოვმა მოხსნა ემბარგო ქართულ პროდუქციაზე, რომელიც 2006 წლიდან მოქმედებდა.




მიუხედავად შედარებითი „დათბობისა“ ურთიერთობებში, თბილისი აცხადებს, რომ არ შეუძლია აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობანი, სანამ რუსეთი არ გაიწვევს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების თანახმად, მოსკოვი არ შეცვლის 2008 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დღეისთვის, რუსეთის გარდა, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი აღიარეს ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის ორმა კუნძულოვანმა სახელმწიფომ — ნაურუმ და ტუვალუმ. სხვა ქვეყნები მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.

**„დიპლომატიური ურთიერთობების უქონლობა აყოვნებს მთელ რიგ სხვა მიმართულებას თანამშრომლობაში.**

**ყველაფერი ემყარება არა ფორმალობას, არა დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობას და იმას, რომ ყველაფერი დაბლოკილია. სრულიადაც არა. მთავარი პრობლემაა ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ სიტუაცია, რომელიც ჩამოყალიბდა მიხეილ სააკაშვილის მიერ ომის გაჩაღების შემდეგ...**

**მცდელობანი — განვსაზღვროთ ჩვენი პოლიტიკური კონტაქტების წინსვლა რუსეთის უარის გამო არსებული რეალიების აღიარებისგან — უპერსპექტივოა, უშედეგო, კონტრპროდუქტიული და არაფერს იძლევა“,** — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

### „სასაზღვრო ზონა“

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარები რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით გაჩნდა იმ პროტესტის შემდეგ, რომელიც გამოთქვა წინა დღით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მიერ „სასაზღვრო ზონის“ დროებითი გაფართოების გამო (2014 წლის 20 იანვრიდან 21 მარტამდე) 11კილომეტრზე აფხაზეთის სიღრმეში ქალაქ სოჭის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ოლიმპიური თამაშების წინ.**

კერძოდ, ყველა პირი, ვინც შედის ან გამოდის სატრანსპორტო საშუალებებით „სასაზღვრო ზონაში“, ვალდებულია წარუდგინოს პირადობის მოწმობა იმ „სტაციონარული საკონტროლო პოსტის“ მუშაკებს, რომელიც დაკომპლექტდება აფხაზეთის უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და მიგრაციის სამსახურის თანამშრომლებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის ამ მოქმედებებს უკანონო და რუსეთის მიერ აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას — „საოკუპაციო რეჟიმი“ უწოდა, მოუწოდა რუსეთს „შეწყვიტოს პროვოკაციული მოქმედებების პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ“ და „შეასრულოს მასზე (რუსეთზე) დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებანი“, კერძოდ პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რასაც 2008 წელს ხელი მოაწერეს რუსეთის, საქართველოს და საფრანგეთის პრეზიდენტებმა.

**„სასაზღვრო ზონის შექმნა საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად არის კიდევ ერთი ხელყოფა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტისა და წარმოადგენს რუსეთის მიერ თავის საერთაშორისო ვალდებულებათა, საერთაშორისო უფლებებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევას“,** — განაცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

აღსანიშნავია, რომ ადრე საქართველო რუსეთს სთავაზობდა დახმარებას ზამთრის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. როდესაც 21 იანვარს პრესკონფერენციაზე გამოდიოდა, რუსეთის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ „აფასებს ქართველი მეზობლების მისწრაფებას, ხელი შეუწყოს უსაფრთხოებას სოჭში ოლიმპიური თამაშების დროს“.

ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის სიტყვებით, თბილისს მოსკოვიდან ჯერ არ მიუღია „კონკრეტული პასუხი“ აღნიშნულთან დაკავშირებით.

### „წითელი ხაზები“

**„სასაზღვრო ზონის“ გადატანამ აფხაზეთის სიღრმეში, აგრეთვე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის კომენტარებმა თბილისში გაღიზიანება გამოიწვია. მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა სიტყვებით, რუსეთმა თავისი მოქმედებებით წარმოადგინა „დამატებითი არგუმენტები“ იმისთვის, რომ საქართველომ უარი თქვას სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.**

ოპოზიციურ პარტია „ევროპულ დემოკრატებში“, თავის მხრივ, რუსეთის მოქმედებებს, აგრეთვე სერგეი ლავროვის „თავხედურ“ გამონათქვამებს „დათმობის პოლიტიკა“ უწოდეს, რომელსაც, მათი შეფასებით, ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობაში.

ამავე დროს, საქართველოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ ექვემდებარება განხილვას, და რომ თბილისის მთავარი მიზანი რუსეთთან დაკავშირებით არის სწორედ საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციის მიღწევა.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის სიტყვებით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში „დაბრკოლებითი ფაქტორები“ შექმნა მოსკოვმა, რომელმაც ქართული მიწების ოკუპაცია განახორციელა.

**„ჩვენთვის კარგი ურთიერთობანი მთავარი მიზნის მიღწევის საშუალებაა, რომელიც გულისხმობს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, დეოკუპაციის განხორციელებას და რუსეთთან სამშვიდობო ურთიერთობის დაწყებას. იგი არის ჩვენი მეზობელი და ამ გეოგრაფიულ რეალობას ჩვენ ვერ გავექცევით“,** — თქვა სესიაშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის სიტყვებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ საქართველო „არასოდეს შეურიგდება“ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციას, და რომ თბილისი გააგრძელებს მუშაობას „დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად“ იმისთვის, რომ „გამოასწოროს ეს სიტუაცია“ და „დავუბრუნდეთ ძველ პარამეტრებს“.

მიუხედავად ამისა, მისი სიტყვებით, არის მთელი რიგი სხვა საკითხებიც, ისეთები, როგორიცაა სავაჭრო და კულტურული კავშირურთიერთობანი, რომლებიც „წითელი ხაზის“ მონაცემების გარეთაა და რომელთა მიხედვითაც შარშანდელი წლის განმავლობაში საქართველომ და რუსეთმა შეძლეს მიეღწიათ პროგრესისთვის.

**„რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციით ჩვენ ვახორციელებთ ამ წითელი ხაზის და იმ ძირითადი პრინციპების მხოლოდ და მხოლოდ შენარჩუნებას, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ეწოდება. ამის საზიანოდ არ განხორციელდება ურთიერთობათა ნორმალიზაცია არავისთან, მათ შორის არც რუსეთთან“,** — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა.

Voice of America

# დედამიწის ზურგზე



### კონფლიქტმა უკრაინაში შეიძლება ერთმანეთს წაჰკიდოს რუსეთი, ევროკავშირი და აშშ: „ბრძოლა შევიდა ყველაზე დამანგრეველ სტადიაში“

**ამ დროს ევროკავშირი ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ დაემუქრა უკრაინას სანქციებითა და ურთიერთობათა გაწყვეტითაც კი. იმის მცდელობით, რომ შეეცვალათ სიტუაცია, ეუთოს წარმომადგენელმა, შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიდიე ბურკგალტერმა განაცხადა, რომ მზადაა გამოვიდეს შუამავლად მოლაპარაკებაში უკრაინაში დაპირისპირებულ მხარეთა შორის.**

### კიევში სასწრაფო დახმარების საავადმყოფოდან „ბერკუტი“ შეეცადა გამოეყვანა დაჭრილები, მაგრამ პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგობას გადააწყდა

**შედეგად პოლიციამ მოიწყო ბარიკადები საავადმყოფოს სპეციალურ განყოფილებაში და აკავებს დაზარალებულებს, როგორც მძევლებს. ძალოვანებმა არ გაუხსნეს კარი დეპუტატს „ბატკივშჩინიდან“ და არ უპასუხეს მის მოთხოვნაზე, გაეგო დაკავებული ათი კაცის სახელი. სხვა საავადმყოფოებში დადიან ნარკოსამსახურების წარმომადგენლები და აგროვებენ აქტივისტების მონაცემებს.**



### ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში დოლბანდებისა და არახჩინების ტარების ნება დართეს, გერმანიაში კი ჯარისკაცებს აუკრძალეს გაიკეთონ პორნოტატუირება

**პენტაგონში იმედი აქვთ თავიდან აიცილონ ჯარისკაცების დისკრიმინაციის გამოვლინება და ნება დართეს, რათა ჯარისკაცებმა ტანსაცმლით გამოხატონ მეთაურებისთვის გაუგებარი რელიგიური შეხედულებანი. ამ დროს ბუნდერსვეში გადასინჯეს შეხედულებანი ტატუზე, შლამირებაზე, „გვირაბებზე“ ყურებში და „იროკეზებზე“ სამხედროებისთვის.**

### ჯუჯა პლანეტა ცერარას გარშემო წყლის ორთქლის კვალი დააფიქსირეს

**„პირველად აღმოაჩინეს წყალი ასტეროიდის სარტყელში, და ეს ადასტურებს, რომ ცერარას აქვს ყინულის ზედაპირი და აქვს ატმოსფერო“,— აღნიშნა გამოკვლევის ერთ-ერთმა ავტორმა. აღმოჩენა გაკეთდა კოსმოსური ტელესკოპის „ჰერშელის“ დახმარებით. მან მოასწრო გადმოეცა მონაცემების უზარმაზარი მასა, სანამ წყობიდან გამოვიდოდა.**





# „მხედრიონი“ — ბოროტების მხედრობა

## შეღწევა

**ამრიგად: 1990-1991 წლები —„ჭრმობის“ პერიოდი, 1993-1995 წლები— „მოწიფულობის“ ჟამი.**

ამ ორ ხანას შორის იყო პერიოდი, რომელსაც პირობითად „შეღწევის ეტაპი“ — სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სფეროში მაშველთა კორპუსის („მხედრიონის“)შეღწევის ეტაპი შეიძლება ვუწოდოთ.

ზოგადად ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, გნებავთ, დანაშაული დავარქვათ, ის იყო, რომ თავიდანვე ვერ მიხვდა: „კრიმინალური ფენა მის მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა, ვინაიდან ეს ფენა ათწლეულების მანძილზე სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო. კრიმინალს სხვა ფსიქოლოგია, განსხვავებული მენტალიტეტი, სხვა განწყობა ჰქონდა, ვიდრე დისიდენტს“ („ჟამი ჭეშმარიტი...“).

ზღაპარია, თითქოს კრიმინალი საბჭოთა ეპოქაში სისტემის საწინააღმდეგო მოძრაობა, ერთგვარი სახეშეცვლილი და შენიღბული დისიდენტობა იყო. სინამდვილეში კრიმინალი, თავისთავად, კრიმინალად რჩება ყველგან და ყოველთვის. მას პოლიტიკა არ აინტერესებს ან აინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სჭირდება ან შეიძლება გამოიყენოს თავისი მიზნებისთვის.

**„მხედრიონი“გახლდათ ელიტის მახვილი ხელისუფლებაში მოხვედრილი უბადრუკი „პლებეების“ წინააღმდეგ. „ინტელიგენციისა“ და „მხედრიონის“ კავშირი განსხეულდა კონკრეტულ პიროვნებაში“, ეს იყო ერთდროულად ცნობილი მწერალიცა და „კანონიერი ქურდიც“ — ჯაბა იოსელიანი.**

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის № 145 დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ“, შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაცია — საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსი.

იგი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დაექვემდებარა.

მიზანი: „მოსახლეობის დამცველი, სამაშველო და გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამსახურების ფუნქციონირების სფეროში არსებულ პრობლემათა მთელი კომპლექსის სწრაფად და ეფექტიანად გადაჭრა; არსებული სამსახურების ძალებისა და საშუალებების ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში გაერთიანება; ეკონომიკური, სამართლებრივი და საინფორმაციო უზრუნველყოფა, საგანგებო შემთხვევაში მოსახლეობის საიმედო დაცვა და მატერიალური ზარალის შემცირება“.

რეორგანიზებულ მაშველთა კორპუსში შევიდნენ ქართველ მაშველთა კორპუსი, სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველო, სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გასამხედროებული სამთო მაშველთა ნაწილები.

თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი, რომლისთვისაც მაშველთა კორპუსი („მხედრიონი“) პოლიტიკური ქმედუნარიანობის გარანტი და დასაყრდენი ძალა იყო. თავის მხრივ, ჯაბა იოსელიანი, თანამოაზრეებთან ერთად — მაშველთა კორპუსის არსებობისა და მოქმედების გარანტი.

რესპუბლიკის პარლამენტმა 1992 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე კომიტეტის სტატუსით დაამტკიცა მაშველთა კორპუსი და იგი მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში (თავდაცვის ბლოკში) შეიყვანა.

მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 3 დეკემბრის № 656 ბრძანებულებით (პარლამენტის 1992 წლის 20 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად) დამტკიცდა მაშველთა კორპუსის დებულება, ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და საქვეუწყებო რეგიონული ქვედანაყოფების ნუსხა. დადგინდა, რომ მაშველთა კორპუსი სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოა.

ამ „ალმავალ“ პერიოდზე მოდის ერთი კურიოზული შემთხვევა: 1992 წლის მაისში, საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს, „მხედრიონის“ საპატიო წევრი გახდა...აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი.

ამრიგად, ჯაბა იოსელიანმა და მასთან დაკავშირებულმა სხვა პირებმა ისარგებლეს ქვეყანაში არსებული მათთვის ხელსაყრელი გარემოებით: მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით, სამოქალაქო ომით, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შიდა და გარე ძალების გააქტიურებით და შეაღწიეს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სფეროში, არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

* * *

**1993 წლის** მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს რაიონებში ვითარება გამწვავდა. უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრებმა, ეროვნულ იდეოლოგიას ამოფარებულმა პიროვნებებმა ისარგებლეს ხელისუფლების უუნარობით, მთლიანად გაეკონტროლებინათ რეგიონი. ზვიადის მოწინააღმდეგენი დღემდე ამტკიცებენ, რომ „მეგრული თემა“ თვით პრეზიდენტმა წამოწია, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გამსახურდიას ნამდვილად არ აძლევდა ხელს დაპირისპირების დაყვანა ეთნიკურ ანტაგონიზმამდე. იმთავითვე ნათელი იყო, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს მისთვის ძალზე წამგებიანი იქნებოდა (თენგიზ სიგუამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „გამსახურდიამ თქვა, მე ჩემი მეგრელები და სვანები დამიცავენო“, თუმცა, სიგუას არ დაუზუსტებია სად და როდის თქვა ეს ზვიადმა, ამგვარი განცხადება არავის მოუსმენია). ზვიად გამსახურდია პოლიტიკური თვალსაზრისით, სწორედ მაშინ დამარცხდა უიმედოდ კიდევ ერთხელ, როცა სამეგრელომ მის დასაცავად სხვა კუთხეებზე მეტად დაიწყო აქტიურობა.

დასავლეთ საქართველოში ვითარების გამწვავებას მოჰყვა მმართველობის ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების ძალადობრივი დაშლა, თანამდებობის პირთა დევნა-ტერორი, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შენობა-ნაგებობათა, საცხოვრებელი სახლების ძარცვა, სარკინიგზო მაგისტრალებისა და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების დადამბლავება, ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოგზავნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობის ტვირთების დატაცება და ა.შ.

1993 წლის 16 სექტემბერს სახელმწიფოს მეთაურის № 168 განკარგულებით დასავლეთ საქართველოს რეგიონებში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს მაშველთა კორპუსის რაზმეულის წევრებს დროებით მიეცათ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მოქმედი წესების დაცვით. მათ უნდა ეხელმძღვანელათ ჩვენს შეიარაღებულ ძალებში (თავდაცვის სამინისტროს სისტემაში) 1992 წლიდან მოქმედი „სასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების აღრიცხვის, შენახვისა და ჯარებზე გაცემის ორგანიზაციის წესდებით (ინსტრუქციით)“.

მაგრამ ისინი აინუნში არ აგდებდნენ ამ წესდების მოთხოვნებს, უკანონოდ, უნებართვოდ იყვნენ აღჭურვილი დიდძალი ცეცხლსასროლი ავტომატური, არაავტომატური, დინამო-რეაქტიული იარაღით, ჯავშანტექნიკით, საბრძოლო მასალებით, ფეთქებადი ნივთიერებებით, რომლებიც ასევე უკანონოდ, უნებართვოდ ჰქონდათ შეძენილი.

**წუთშესვენება**. აფხაზეთში საომარ მოქმედებათა დამთავრების შემდეგ, ე.ი. 1993 წლის სექტემბრის დასასრულიდან, მაშველთა კორპუსის ნაწილმა არ ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო და ფეთქებადი მასალა.

1993 წლის მეორე ნახევარში, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული ფორმირებებისგან სამეგრელოს რეგიონის, განსაკუთრებით კი— ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გაწმენდის ოპერაციების დამთავრებისას, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად და მოწინააღმდეგე ჯგუფების სალიკვიდაციოდ, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრებმა შეიმუშავეს „დასავლეთ საქართველოს რეგიონებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმა“. იგი 1993 წლის 21 ოქტომბერს დაამტკიცა სახელმწიფოს მეთაურმა.

გეგმის მიხედვით, „რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმისა და საკომენდანტო საათის ღონისძიებათა ხელმძღვანელობისთვის“ დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში დაინიშნენ კომენდანტები, ძირითადად — შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

ქ.ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის კომენდანტად შეირჩა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი როლანდ ჩარგეიშვილი.

შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის —სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულებით „საომარი მოქმედებების რაიონებში მაროდიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საგანგებო ზომების გაძლიერების შესახებ“ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს დაევალათ ორი დღის ვადაში საგანგებო სპეციალიზებული რაზმების შექმნა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით. ამ რაზმებში შედიოდნენ, აგრეთვე, რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლები.

რაზმებს უნდა გამოევლინათ და სამხედრო პროკურატურისთვის გადაეცათ მაროდიორობასა და ძალადობაში შემჩნეული სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციელები და ის სამოქალაქო პირები, რომლებიც ჯარისკაცებისა და ოფიცრების სახელით მოქმედებდნენ. საქმეთა ოპერატიული გამოძიების შემდეგ დამნაშავენი, კანონის მთელი სიმკაცრით დასასჯელად გადაეცემოდნენ სპეციალურ სამხედრო სასამართლოებს.

საომარ მოქმედებათა რაიონებში ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად, მუდმივად უნდა ყოფილიყვნენ სამხედრო, რაიონული და საქალაქო პროკურატურის წარმომადგენლებისგან შემდგარი ჯგუფები.

**იმ სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციელების, მაროდიორობასა და ძალადობაში შემჩნეული მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებს, ადგილებზე უნდა გამოყენებულიყო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, მათი ფიზიკური განადგურების ჩათვლით.**

ერთი სიტყვით, ყველაფერი წარიმართა ომის კანონების მიხედვით, სასტიკი, დაუნდობელი წესებით.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებას, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა ჯაბა იოსელიანი, მაგრამ...

მაგრამ ამ „ხელმძღვანელობას“ სხვა მიმართულება მიეცა...

## „დიდი თურქობა“

**გამოძიების** მასალები ცხადყოფს: „ჯ.იოსელიანმა და რუსთავის მაშველთა რაზმის უფროსმა თეიმურაზ ტალახაძემ, მისმა მოადგილემ ზაზა პაიჭაძემ, გურჯაანის რაიონის მაშველთა რაზმის უფროსმა ვაჟა ქრისტესიაშვილმა, ოზურგეთის რაიონის მაშველთა რაზმის უფროსმა ნოე (ზურაბ) თოიძემ, მაშველთა კორპუსის წევრებმა დარეჯან (დოდო) გუგეშაშვილმა, ნატალია (ნატო) ქიტიაშვილმა და დავით წერეთელმა, ზუგდიდის რეგიონში ძარცვა-გლეჯის საორგანიზაციოდ, მაშველთა კორპუსის წევრთაგან ჩამოაყალიბეს 15-30-კაციანი ჯგუფები“.

მათ მოქნილად ისარგებლეს, ამოეფარნენ სახელმწიფოს მეთაურის № 168 განკარგულებას მაშველთა კორპუსისთვის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მოქმედი წესების დაცვით ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების შესახებ და წესების მოთხოვნათა უგულებელყოფით, შეიარაღდნენ ჯავშანტექნიკით, ჯავშანმანქანებზე დამონტაჟებული საზენიტო დანადგარებით, ავტომატური და არაავტომატური იარაღით.

შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის — **სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის ბრძანებაში რეგიონში მართლწესრიგის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ, მაშველთა კორპუსის წევრთა მონაწილეობა გათვალისწინებული არ იყო.**

მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა.

ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში ჯაბა იოსელიანის მითითებით მაშველთა კორპუსის რაზმები სამტრედიის რაიონში დაბანაკდნენ. ნოემბრის დასაწყისში შეიარაღებული რაზმები ვ.ქრისტესიაშვილისა და დ. გუგეშაშვილის ხელმძღვანელობით გამოიყვანეს ფოთიდან, ასევე გამოიყვანეს ოზურგეთის რაიონის მაშველთა რაზმის წევრებიც.

**ალეკო ასლანიშვილი.**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-14

## ათი წლის წინათ

**ფეხბურთის ქართველ ქომაგს მოსკოვთან საბედისწერო მოგონებები აკავშირებს.**

**მათგან განსაკუთრებულად 1953 წელს, საბჭოეთის დიადი ბელადის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი უპრეცედენტო ფაქტი გამოიყურება, როცა პოლიტიკან-შოვინისტებმა თბილისის „დინამოს“ ალალად მოპოვებული ქვეყნის ჩემპიონობა ჩამოართვეს. აღარაფერს ვამბობთ იქვე წაგებულ საკავშირო თასის გათამაშებისა და სსრკ ხალხთა სპარტაკიადების ფინალურ მატჩებზე.**

**საბედნიეროდ, მედალს მეორე მხარეც აქვს და დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული ზესახელმწიფოს დედაქალაქში, რამდენჯერმე მაინც, სამართალმა პური ჭამა. როცა ამას ვამბობთ, უპირველესად, 1976 წლის 3 სექტემბრის საღამოს ვგულისხმობთ, როცა ნოდარ ახალკაცის ძლევამოსილი ეპოქის გარიჟრაჟზე „თეთრ-ლურჯებმა“ პრინციპულ სათასო ფინალში ერევნის „არარატი“ დააჩოქეს – 3:0 და 5-წლიან ტრიუმფალურ ბილიკს შეუყვნენ, რომელიც დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ დაგვირგვინდა. ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, რომ მეორედ სწორედ რუსეთის გულში გაინაღდა ჩვენმა საყვარელმა კლუბმა სსრ კავშირის ჩემპიონობა (1978 წ), როცა იქაურ რკინიგზელებთან 0:0 ითამაშა, ხოლო მომდევნო სეზონში მოსკოველ თანაკლუბელთა დამარცხების (ძირითადი დრო – 0:0, პენალტებით – 6:5) შემდეგ კიდევ ერთხელ დაეუფლა ბროლის ჯილდოს.**

**რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდს, გულშემატკივართათვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო დინამოელებმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ „გაისროლეს“ საერთაშორისო სარბიელზე. ხვალ ამ მოვლენის მეათე წლისთავია და სწორედ აღნიშნულ თარიღს ეძღვნება მისი უშუალო თვითმხილველის მაშინდელი წერილი. ვიმედოვნებთ, მასში მკითხველი არაერთ საგულისხმო სტრიქონს გაეცნობა.**



# მადლობა იმ თაობას

**აჰა, ქართველ ფეხბურთელთა პირველ ტიტულსაც მოვესწარით XXI საუკუნეში – თბილისის „დინამომ“ რუსეთის დედაქალაქიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ჩამოიტანა. სიმბოლურია, რომ ეს მოვლენა საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისა და მისი წინამორბედის დაბადების დღეს დაემთხვა, თანაც, ახალი სახელმწიფო დროშით არის მოპოვებული. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ წარმატებას წმინდა ისტორიული დატვირთვაც აქვს – წლეულს ხომ ტაშკენტის ტრიუმფის საიუბილეო – მეორმოცე თარიღი სრულდება. როგორც ყველა მიღწევას, მოსკოვურსაც ჰყავს სულისჩამდგმელი.**

დიახ, ივო შუშაკზე მოგახსენებთ, რომელმაც ორი წლის განმავლობაში გუნდში საქმისადმი სრულიად ახალი მიდგომა დაამკვიდრა, ბიჭები საკუთარი ძალების რწმენით აღჭურვა და ოცდასამწლიანი პაუზის შემდეგ პირველად, გულშემატკივრები თანამემამულეთა დასახვედრად თბილისის აეროპორტში მოიყვანა. ნუ დავივიწყებთ, რომ „ძლევაი საკვირველი“ ექსპრომტად შეკოწიწებული დაცვით (ახალაია, შაშიაშვილი, კანდელაკი) გამოიჭედა, რაც მას კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს – კიევის „დინამოში“ ამისულაშვილის გადასვლასა და მოსკოვის „დინამოში“ ხიზანეიშვილის გადაბარგებას წერეთლის ტრავმაც დაემატა, რამაც ხორვატი სპეციალისტი აიძულა გაბედულ ტაქტიკურ ექსპერიმენტზე წასულიყო. ამან, საბოლოო ჯამში, გაამართლა კიდეც – თავდასხმისა და, განსაკუთრებით, ნახევარდაცვის დიდებულმა თამაშმა გადაწონა უკანახაზელთა და მეკარე გვარამაძის ცალკეული „იაღლიშები“. დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველია ორიოდე ციფრი – 6 შეხვედრაში გატანილი 23 და გაშვებული 9 გოლი. აი, ისინი, ვინც მეტოქეებს ცენტრიდან განაახლებინა ბრძოლა: დარასელია – 6, ალექსიძე – 4, ბურდული, მელქაძე – 3-3, იაშვილი, შაშიაშვილი – 2-2, ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, კვირკველია – თითო გოლი. ორიოდე სიტყვა ბატონი შუშაკის პედაგოგიური ალღოს შესახებაც უნდა ითქვას: ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრის შემდეგ მან სამშობლოში გამოისტუმრა უდავოდ ნიჭიერი თავდამსხმელი იაშვილი, რომელმაც ათი წუთით დაიგვიანა სადილზე და შენიშვნის მიცემის შემდეგ მთავარ მწვრთნელს შეეპასუხა. ეს ნაბიჯი რომ კანონზომიერი იყო, საბოლოო შედეგმა დაადასტურა – გამარჯვებულებს ხომ არ ასამართლებენ. ასე გუნდისა და თვით სანდროს ინტერესების გათვალისწინებით მოვიქეცით. იგი პერსპექტიული ჭაბუკია და ეს შემთხვევა სამომავლოდ გამოადგება, იტყვის მოგვიანებით კლუბის სპორტული დირექტორი გივი ნოდია. რადგან ე.წ. გენშტაბი ვახსენეთ, დავძენ, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში გუნდს თან ახლდნენ „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და ტექნიკური დირექტორი კახა ჭუმბურიძე, რომლებიც საქმიანი პარტნიორის – კლუბის ტექნიკური სპონსორის კომპანია „თუქეის“ (ეს კომპანია დსთ-ს ჩემპიონთა თასის გათამაშების ტექნიკური სპონსორიც გახლდათ) წარმომადგენლებთან ერთად მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებდნენ, რაც თვალნათლივ მეტყველებს იმ ყურადღებაზე, ჩვენი ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონთა უფროსობამ რომ გამოიჩინა სეზონის სასტარტო ასპარეზობისადმი. მინდა ერთ არსებით საკითხსაც შევეხო – აქაოდა, ტურნირის მთავარი ფავორიტები მეორე შემადგენლობებით ბურთაობდნენ და ჩვენც იმიტომ გავიმარჯვეთო. თვით დინამოელთა საკადრო პრობლემებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებსაც წერილის დასაწყისში გავუსვით ხაზი (ამას აუცილებლად უნდა დავუმატოთ ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ვარჯიშზე მიღებული მუხლის ტრავმის გამო ტურნირის დაწყებამდევე დატოვა მოსკოვი გამოცდილმა მეკარემ ზოიძემ), რამდენიმე გვარს დაგისახელებთ, დასკვნა კი თქვენ თვითონ გამოიტანეთ: კიევის „დინამოს“ ღირსებას სხვებთან ერთად იცავდნენ ძირითადი ბირთვის წევრები რევა, ხაცკევიჩი, მილევსკი, მელაშჩენკო, ონიშჩენკო და ალ-კადური, ცსკამ კი იანოვსკი, გაბულოვი, ბერკეტოვი, მონარიოვი და პიიუკი ათამაშა: – ალბათ, მიხვდით, რატომ შემოგთავაზეთ ეს ნუსხა, ასე რომ, მოდით, ნულარ შეეცდებით დააკნინოთ ამ საამაყო ბატალიების მნიშვნელობა (კიდევ კარგი, ეს ყველაზე არ ითქმის). ამ ერთგვარ რეცენზიაში მიზანშეწონილად მიმაჩნია ჩემს ძვირფას კოლეგებზეც შევჩერდე – „სპარტაკის“ მანეჟსა და სპორტკომპლექს „ოლიმპიისკიში“ განთავსებულ პრესცენტრებსა თუ ტრიბუნებზე შეკრებილი ჟურნალისტები და ქართული დიასპორა ამაოდ ეძებდნენ ჩვენებურ კალმოსნებს. თავს უფლებას მივცემ განვაცხადო – დიახაც, თბილისის „დინამო“ და მთლიანად ქართული ფეხბურთი, თუნდაც ამ ლოკალური აღმაფრენის ჟამს, ღირსი იყო გაცილებით მრავალრიცხოვანი მედიადესანტით სწვეოდა ჩრდილოელ მეზობლებს. ვიმედოვნებთ, ეს გარემოება აწი მაინც იქნება გათვალისწინებული. რადგან პერსპექტივა ვახსენე, ერთ აქტუალურ თემასაც მოვუხდი ხარკს – აქვს თუ არა მომავალი დსთ-ს ჩემპიონთა თასის გათამაშებას. თვით ის ფაქტი, რომ ის კითხვა უკვე დაისვა და, თანაც, საკმაოდ მაღალ დონეზე (ამაში ქვემოთ დარწმუნდებით), თავისთავად, ნიშნავს მის ყოფნა-არ-



ყოფნაზე სერიოზული დაფიქრების აუცილებლობას. მანამდე კი ფიფას ვიცე-პრეზიდენტს, რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცს ვიაჩესლავ კოლოსკოვს მოვუსმინოთ: „დსთ-ს ჩემპი-ონთა თასის გათამაშების პრესტიჟულობას ჩემს პირად ავტორიტეტთან ერთად მასზე დასასწრებად ფიფასა და უეფას შეფების ყოველწლიური ჩამოსვლაც განსაზღვრავს, რომლებიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნულ ფედერაციათა მესვეურებთან მართავენ ტრადიციულ შეხვედრებსა და თათბირებს (ამჯერად საქართველოს სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია წარმოადგენდნენ, ორდღიანი მსჯელობის დროს კი მრავალჯერ გამოითქვა დაინტერესება სფფ-ს პრეზიდენტის, მაშინ ჯერ კიდევ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფი მერაბ ჟორდანიას ბედით – გ.პ.). განგაშს იწვევს არა იმდენად დსთ-ს ჩემპიონთა თასის გათამაშების მომავალი, რამდენადაც მისი ხარისხი და დონე, რაც ტურნირზე რამდენიმე ძლიერი კლუბის მიერ დუბლიორთა გამოგზავნას უკავშირდება. საერთოდ, თითოეული ასეთი ასპარეზობის დასაფინანსებლად 500 000 დოლარია საჭირო, რომელსაც რუსეთის საფეხბურთო კავშირი ჩვენი ქვეყნის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის დახმარებით ფარავს. მინდა ისიც იცოდეთ, რომ აქტიურად ვეძებთ გენერალურ სპონსორს და მჯერა, ვიპოვით კიდეც. სხვათა შორის, ერთ დროს შემოგვთავაზეს იდეა: მოდით, ეს ტურნირი მონაცვლეობით, ყველა სახელმწიფოში მოვაწყოთო. დავთანხმდით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მსურველი არავინ აღმოჩნდა. შემდეგ ჩვენ ახალი სქემა შევიმუშავეთ – გუნდები ოთხ ქვეჯგუფად დავყავით ტერიტორიული პრინციპით, გამარჯვებულთა კვარტეტი კი ფინალურ ბრძოლებზე მოსკოვში უნდა შეკრებილიყო. არც ეს ვარიანტი გავიდა, რაც ტურნირის დაღუპვის ტოლფასი იყო, თუმცა რუსეთის საფეხბურთო კავშირის ძალისხმევით იგი გადარჩა და მას დღემდე ჩვენ ვუძღვებით“. აქვე მკითხველებს ვაუწყებთ, რომ წლეულს მოსკოვში შეკრებილმა დსთ-ს ქვეყნების ეროვნულ საფეხბურთო ფედერაციათა თავკაცებმა მხარი დაუჭირეს გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ რედაქციის ინიციატივას და ბლიცანკეტის შედეგების მიხედვით თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელად „მილანის“ უკრაინელი გოლეადორი ანდრეი შევჩენკო მიიჩნიეს. იგი პირველ ადგილზე შვიდმა გამოკითხულმა დააყენა. რაც შეეხება ალექსანდრე ჩივაძეს, მან თავი აარიდა ცალკეულ რჩეულთა დასახელებას და ლაურეატობის კოლექტიურ კანდიდატთა ასეთი კრებული შეარჩია: შევჩენკო, კალაძე, სმერტინი, კარპინი, მოსტოვოი, შოთა არველაძე. ახლა კი, ვიდრე უშუალოდ მოსკოვური მატჩების პერიპეტიებზე გადავალ, მოკლედ მოვჭრი: თბილისის „დინამო“-2004 ღირსეულად ჩაება ახალ სეზონში, მაგრამ შესაძლოა ამ შემადგენლობით აღარც შეიკრიბოს. მიზეზი ბანალურია – რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს ხელსაყრელი წინადადებებით მიმართეს მათი ჩინებული თამაშით მოხიბლულმა უცხოური კლუბების წარმომადგენლებმა, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი, დინამოელთა საყრდენი ნახევარმცველი ვიტალი დარასელია კი მოსკოვშივე დარჩა. დიდი მადლობა ამ თაობას მონიჭებული სიხარულისთვის.

### I ტური
### „დინამო“ – „ჟასტიკ-აკალტინი“ (ყირგიზეთი) 7:1.

კურიოზული ფაქტი – გათამაშების წინ გულშემატკივართა შორის მოწყობილ გამოკითხვაში – „ვინ მოიპოვებს დსთ-ს ჩემპიონთა თასს“ – შუააზიელებმა ჩვენზე მეტი ხმა მიიღეს (!). ასეთი პროგნოზის აბსურდულობაზე მატჩის შედეგიც მეტყველებს.

### II ტური
### „დინამო“ – „სკონტო“ (რიგა) 2:2.

პირველი ტაიმის 39 წუთის განმავლობაში შარშანდელი ფინალისტი უსუსურად გამოიყურებოდა, მაგრამ გადარჩა, თუ შეიძლება, 0:1-ს გადარჩენა ეწოდოს – იაშვილი რამდენჯერმე დარჩა მეკარე პიედალსთან პირისპირ ანჩაბაძის ზუსტი გადაცემებით, მაგრამ მომენტები გაანიავა. სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ ბიჭებს მოხსნილი ჰქონდათ ლატვიელთა კომპლექსი (წინა ტურნირების განმავლობაში „სკონტო“ ხან უგებდა „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“, ხანაც, მისთვის უარეს შემთხვევაში, ფრედ ამთავრებდა მატჩს), ეს კი დიდ ფსიქოლოგიურ ფორას გვაძლევდა. ფიფას არბიტრის ვალერი ბუტენკოს საფინალო სასტვენის შემდეგ ქართული და ლატვიური ფეხბურთის დიდმა მოამაგემ რევაზ ძოძუაშვილმა განაცხადა: „თავისი ჭეშმარიტი სახე ვერც ერთმა გუნდმა ვერ აჩვენა (?). თვით ტურნირი მშვენიერი სკოლაა გამოცდილების მისაღებად. რაც შეეხება ჩემს სამწვრთნელო კარიერას, რამდენიმე სერიოზული ვარიანტი მაქვს და არაა გამორიცხული, კარიერა საზღვარგარეთ გავაგრძელო“.

### III ტური
### „დინამო“ – „ირტიში“ (ყაზახეთი) 5:3.

მოგეხსენებათ, ყაზახეთის ნაკრები ჩვენი ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მეტოქეა „მუნდიალ-2006“-ის შესარჩევ ციკლში, ამიტომ ამ შეხვედრას, გარკვეულწილად, დაზვერვითი ხასიათიც ჰქონდა – პავლოდარელთა ღირსებას ნაკრების ორი ძირითადი წევრი – მეკარე ნოვიკოვი და მცველი ნურდაულეთოვი იცავდა. თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ისინი, ანგარიში გიპასუხებთ.

**გივი ნოდია,** – „დინამოს“ სპორტული დირექტორი I ეტაპის შესახებ: მიუხედავად მზადების გვიან დაწყებისა (5 იანვარს), სერიოზულად მოვეკიდეთ ტურნირს და ხელოვნურ საფართან შესაგუებლად 4 დღით ადრე ჩამოვედით. სასიამოვნოა, რომ ყველა ძალების მაქსიმალური მობილიზაციით თამაშობს და შედეგსაც დამაკმაყოფილებლად მივიჩნევ, თუმცა, ამაზე უფრო საგოლე მომენტების სიმრავლე მახარებს. რაც შეეხება დაცვას, უთუოდ დაგვეტყო ამისულაშვილისა და წერეთლის არყოფნა. ივო შუშაკმა არჩევანი უნივერსალ ახალაიაზე შეაჩერა, მაგრამ რომ არა სიცხე, არაა გამორიცხული, მის პოზიციაზე ჭაბუკი კაშია გამოეცადა. მცველთაგან შაშიაშვილს გამოვყოფ, საერთოდ გუნდიდან კი – ნახევარდაცვას, რომელიც ყველაზე ბალანსირებულ რგოლად გამოიყურება და საუკეთესოდაც თამაშობს. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ბატონმა ივომ აქცენტი სამი ცენტრალური მცველით თამაშზე გააკეთა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს ტურნირი, რომელიც ყოველთვის მაღალი რანგის ასპარეზობად მიმაჩნდა, ერთგვარ სატრანსფერო ბაზარსაც წარმოადგენს და ყველა ცდილობს თავი მოაწონოს სკაუტებს, ამიტომ მაოცებს კიეველთა ზერელე დამოკიდებულება მისადმი, რიგის „სკონტო“ კი, პირიქით, ამჯერადაც დიდი მიზნებითაა ჩამოსული. როგორც ყოველთვის, არც წლეულს გვაკლია გულშემატკივარი. მარტო ის რად ღირს, რომ ანდრეი ბიბა ჩვენი ავტობუსით დადის შეხვედრებზე და გაოცებულია, ასეთი დონის გუნდი რომ გვყავს“. ჩემი მხრიდან დავუმატებ, რომ I ეტაპზე „კაუნას“-„ყარაბახის“ მატჩი საკმაოდ კარგად იმსაჯა ლევან ფანიაშვილმა, ქართველი ლეგიონერები კი კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ: კორღალიძე, მენთეშაშვილი („სკონტო“), თარხნიშვილი („შერიფი“) და კაპაძე („პახტაკორი“).

### მეოთხედფინალი
### „დინამო“ – „გომელი“ (ბელარუსი) 4:1

დინამოელებს ამჯერად დისკვალიფიცირებული გოგობერიშვილი აკლდათ, რომელიც კარლოსმა შეცვალა, ბელარუსმა კოლეგებმა კი შეხვედრის წინ შემომწუწუნეს, ახალი სეზონის წინ ხუთი ლიდერი გავყიდეთო, ხოლო გუნდის კაპიტანი ჩერეპნიოვი, ისევე როგორც დაცვის ბურჯი ლუკაშენკო, შესაბამისად, ყვითელი ბარათებისა და ტრავმის გამო ვერ გამოვიდნენ მოედანზეო. ვითომ, ეს გამოადგებათ გამამართლებელ საბუთად? – ხომ ითამაშეს ეროვნული ნაკრების კანდიდატებმა მეკარე გაევმა, შაგოიკომ და ბლიზნიუკმა, რომლებმაც ვერაფრით უშველეს პარტნიორებს?

**გივი ნოდია:** – მეტოქეზე მწირი ინფორმაცია გვქონდა, თუმცა, ზოგადად, ვიცოდით, რომ ნორმალური გუნდია. რაც შეგვეხება ჩვენ, პირველად გვიწევს წყვეტილ რიტმში თამაში (ორ-ორი მატჩის შემდეგ ერთდღიანი დასვენება), თანაც გაითვალისწინეთ გამოუცდელობა (დსთ-ს ჩემპიონთა თასზე 3 წელია არ გვითამაშია), პლუს გოგობერიშვილის არყოფნა, რის გამოც ბატონმა ივომ მოედნის ცენტრში ანჩაბაძესთან ერთად ბურდული და დარასელია დააყენა, მარჯვნივ კი კარლოსი ამჯობინა. ვთვლი, რომ ეს იყო ჩვენი საუკეთესო თამაში ამ ტურნირზე, რომელიც საუცხოო გოლებმა დაამშვენა. სამწუხაროა, რომ სამშობლოში არ გვაქვს ასეთი საფარი, სადაც თავს ისე ვგრძნობთ, როგორც თევზი წყალში, ეს კი ჩვენი მდიდარი ტექნიკური არსენალის დამსახურებაა. ასევე ამ საფარს უნდა მივაწეროთ დინამოელთა არაჩვეულებრივად კოლექტიური თამაში. თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ უკვე არაერთ ჩვენს ფეხბურთელს დაადგეს თვალი სხვა კლუბების მზვერავებმა (გვარებს ვერ დაგისახელებთ). არც ისაა შემთხვევითი, რომ კიევის „დინამოს“ ოპერატორმა დღეს ჩვენი მეორე მატჩი გადაიღო ვიდეოფირზე. ალბათ, გაინტერესებთ ჩვენი შესაშური შედეგიანობის მიზეზიც. პირდაპირ მოგახსენებთ – მოედნის საფართან ერთად ეს ტაქტიკის გამოც ხდება – საქართველოში თითქმის ყველა ჩაკეტილი, უკნიდან გვეთამაშება, აქ კი თქვენც ხედავთ, რომ მეტოქეთა უმეტესობა ცდილობს სწრაფად გადავიდეს დაცვიდან შეტევაზე, რაც სივრცეებსა და ხელ-ფეხს გვიხსნის.

### ნახევარფინალი
### „დინამო“ – „შერიფი“ 2:1.
### მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია

**ივო შუშაკი:** მიმაჩნია, რომ ეს იყო ტურნირის ყველაზე საინტერესო შეხვედრა. დნესტრისპირელებმა დაამტკიცეს, რომ მათი შარშანდელი წარმატება კანონზომიერი იყო. მისასალმებელია, რომ გაშვებულმა გოლმა არ გაგვტეხა და შესვენების შემდეგ მთლიანად ვაკონტროლებდით სიტუაციას. გაგვიმართლა კიდეც – დარასელიას გოლის დროს მოლდოველთა მეკარე შეცდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, უმეტესწილად უფრო ძლიერს უმართლებს. მსურს კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი „შერიფის“ სიძლიერეს. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ყველანი ქების ღირსნი არიან, მაგრამ განსაკუთრებით გოგობერიშვილს გამოვყოფ. იმ კითხვას კი, თუ ვის ვისურვებდი ფინალში, ასე ვუპასუხებ – ნებისმიერს უნდა მოვუგოთ.

**ლეონიდ კუჩუკი,** – „შერიფის“ მთავარი მწვრთნელი: ჩვენ დღეს ღირსეულ მეტოქესთან დავმარცხდით, რაც მნიშვნელოვანწილად შუახაზის დათმობამ განაპირობა. მთლიანობაში კი, იმის გათვალისწინებით, რომ სულ ორი კვირაა შევუდექით ახალი სეზონისთვის მზადებას, კარგად გამოვიყურებოდით.

### ფინალი
### „დინამო“ – „სკონტო“ 3:1.
### მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია

**ივო შუშაკი:** კარგი მატჩის გამო ორივე გუნდი იმსახურებს კომპლიმენტს. ჩვენ I ეტაპზეც შევხვდით ერთმანეთს და საკადრისად ვაფასებდით მეტოქეს, ამიტომ ვცდილობდით, მაშინდელი შეცდომები აღარ გაგვემეორებინა. მრავლისმეტყველია, რომ ზედიზედ მეორედ აღმოვჩნდით მდევრის როლში და ამჯერადაც მოვასწარით ანგარიშის I ტაიმშივე გათანაბრება. სწორედ ამ დროს ვირწმუნე, რომ გავიმარჯვებდით. მადლობა ალექსიძეს. მისი გოლის შემდეგ ლატვიელები გაიხსნენ და კვირკველიას შესანიშნავი გარღვევით დაისაჯნენ კიდეც. ვიმეორებ – სოლიდურ და მებრძოლ კლუბს ვძლიეთ (ცნობისათვის: ფინალის შემდეგ ერთ-ერთ ინტერვიუში ივო შუშაკი ახალი ტურნირის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა, სადაც ჩვენი რეგიონის გუნდებთან ერთად ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებისა და შუა ევროპის სახელმწიფოთა (ავსტრია, უნგრეთი) კლუბები იასპარეზებენ **– გ. პ.**).

**ალექსანდრე სტარკოვი,** – „სკონტოს“ მთავარი მწვრთნელი: თანაბარი ძალისა და სხვადასხვა სტილის გუნდების კარგი მატჩი ვიხილეთ. იღბალი ამჯერად თბილისელთა თანამგზავრი იყო და მათ დამსახურებულად მოიგეს. მთლიანად ტურნირით კმაყოფილი ვარ, რადგან თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდით და თავი გავართვით უმთავრეს მიზანს – სეზონისთვის სრულფასოვნად მომზადებას. ვისურვებდი, რომ დსთ-ს ჩემპიონთა თასის გათამაშება შენარჩუნდეს, ოღონდ მისი ორგანიზაციული დონე უნდა გაუმჯობესდეს.

**რევაზ ძოძუაშვილი:** – სათქმელს რამდენიმე სიტყვით გეტყვით – „დინამომ“ ალალად მოიგო.

**ვალენტინ ივანოვი** – ფიფას არბიტრი, ფინალური მატჩის მსაჯი: მართალია, დინამოელები კვლავაც, ეგრეთ წოდებული, ავანტიურული ფეხბურთის ერთგულნი არიან, მაგრამ მისი დოზა საგრძნობლად შემცირებულია. როგორც ადრე, გამარჯვება ამჯერადაც სოლისტებმა მოგიტანათ.

**გია პლატონიშვილი.**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**მოსკოვი.**

## იურიდიული კონსულტაცია

# ეს სიახლეა!

## კოლექტიური დავების განხილვა შემათანხმებელი პროცედურებით

**მოცემული პირობის თანახმად, განვაგრძობთ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაწყებულ საუბარს, რომელიც ახალი შრომის კოდექსიდან გამომდინარე, კოლექტიური დავების შემათანხმებელი პროცედურებით განხილვას შეეხებოდა.**

აღსანიშნავია, რომ კოლექტიური დავის მხარეები ყოველმხრივ უწყობენ ხელს შემათანხმებელი კომისიის ფუნქციონირებას, მათ შორის შემათანხმებელი კომისიის შესაბამისი წევრების სხდომებზე დასწრებისა და მუშაობისათვის შესაფერისი პირობებით უზრუნველყოფის მეშვეობით. მოლაპარაკებების ნებისმიერ სტადიაზე, შეთანხმების მისაღწევად კოლექტიური დავის მხარეს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს მინისტრს მედიაციის დაწყების მიზნით კოლექტიურ დავაზე მედიატორის დანიშვნის თაობაზე, რის შესახებაც იმავე დღეს წერილობით აცნობებს კოლექტიური დავის მეორე მხარეს. კოლექტიური დავის ნებისმიერ სტადიაზე მინისტრს უფლება აქვს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული წერილობითი მიმართვის გარეშე, საკუთარი ინიციატივით დანიშნოს დავის მედიატორი, რაც წერილობით უნდა ეცნობოს მხარეებს. მედიაცია დაწყებულად ითვლება მინისტრის მიერ კოლექტიურ დავაზე მედიატორის დანიშვნის მომენტიდან. კოლექტიური დავის მხარეები ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ შემათანხმებელ პროცედურებში და დაესწრონ ამ მიზნით დავის მედიატორის მიერ გამართულ შეხვედრებს.

**კითხვა: სად და რა ფორმით აისახება სათანადო ცვლილებები იმ შემთხვევაში, თუ კოლექტიური დავა გადაწყდა შემათანხმებელი პროცედურებით?**

**ავთანდილ მაღრაძე**

**პასუხი:** შემათანხმებელი პროცედურებით კოლექტიური დავის გადაწყვეტის შემთხვევაში სათანადო ცვლილებები აისახება ინდივიდუალურ ან/და კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებებში კოლექტიური დავის მხარეების მიერ შეთანხმებული ფორმითა და ვადების დაცვით. კოლექტიური დავის ნებისმიერ სტადიაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება შემათანხმებელი პროცედურების შეწყვეტის შესახებ, რაც არ ზღუდავს კოლექტიური დავის მხარეთა უფლებას, მიმართონ სასამართლოს ან შეთანხმდნენ დავის არბიტრაჟისათვის გადაცემაზე.

კოლექტიური დავის გადაწყვეტის მიზნით შემათანხმებელი პროცედურები დასრულებულად ითვლება კოლექტიური დავის გადაწყვეტის ან კოლექტიური დავის მხარეების მიერ ამ დავის გადაწყვეტის მიზნით არბიტრაჟისთვის (მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში) ან სასამართლოსთვის მიმართვის ან მინისტრის მიერ შემათანხმებელი პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორი წესით ხდება მედიატორის დანიშვნისას კანდიდატურის შერჩევა, რომ სადავო საკითხებს იხილავდნენ ისეთი პიროვნებები, რომელთაც შესწევთ უნარი, იყვნენ მიუკერძოებელნი და მიიღონ კანონიდან გამომდინარე სამართლიანი გადაწყვეტილება?**

**ქეთევან მუსხელიშვილი**

**პასუხი:** სწორედ ამ ნიშნით არის გათვალისწინებული მედიატორად დასანიშნი კანდიდატების შერჩევა მედიატორთა რეესტრიდან, რომელსაც აწარმოებს მედიაციის საორგანიზაციო სამსახური. მედიატორთა რეესტრი იქმნება შრომის სამართლის ან დაკავშირებულ სფეროებში ექსპერტული ცოდნის მქონე, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი პირებისაგან, რომელთაც აქვთ შრომითი ურთიერთობების საკითხებზე მოლაპარაკებების წარმოებაში სპეციალური ცოდნა ან/და გამოცდილება და რომელთაც, მათი მიმართვის საფუძველზე, რეკომენდაციას უწევს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია, რომელიც არის სათათბირო ორგანო და ანგარიშვალდებულია სამმხრივი კომისიის თავმჯდომარის — საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე (აღნიშნული კომისიის შემადგენლობის, ფუნქციებისა და უფლებამოსილების შესახებ, დაინტერესებულ მკითხველს ცალკე ვესაუბრებით).

გარდა ამისა, კონკრეტულ კოლექტიურ დავაზე მედიატორად დანიშვნის კანდიდატის შერჩევისას მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა, რათა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა, მათ შორის გამოირიცხოს მედიატორად ისეთი კანდიდატის დანიშვნა, რომელიც: კოლექტიური დავის მხარის ან მხარის წარმომადგენლის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია; კოლექტიური დავის მხარესთან ან მის წარმომადგენელთან ასრულებს ან ასრულებდა ანაზღაურებად სამუშაოს ბოლო სამი წლის განმავლობაში; კონკრეტული კოლექტიური დავის განხილვისას შესაძლოა, აღმოჩნდეს მიკერძოებული ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის გამო.

როგორც წესი, ერთ კოლექტიურ დავაზე მედიატორი ინიშნება მხოლოდ ერთხელ. ამასთან, გამონაკლისი დაიშვება თუ: კოლექტიური დავის გადაწყვეტის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია მინისტრის მიერ იმავე კოლექტიურ დავაზე იმავე ან სხვა მედიატორის დანიშვნა; კოლექტიურ დავაზე მედიატორად დანიშვნის შემდეგ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისას ან ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიურ დავაზე დანიშნული მედიატორის მიერ მედიაციის მომსახურების განხორციელება შეუძლებელია. კოლექტიურ დავაზე მედიატორის დანიშვნის შემთხვევაში, მედიაციის საორგანიზაციო სამსახური აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობებს კოლექტიური დავის მხარეებს.

**კითხვა: გთხოვთ, გვაცნობოთ, ანაზღაურებადია თუ არა კოლექტიურ დავაზე დანიშნული მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაო და თუ ანაზღაურებას ექვემდებარება, რომელი სახსრებიდან გაიცემა იგი?**

**ანასტასია მარგველაშვილი**

**პასუხი:** კოლექტიურ დავაზე დანიშნული მედიატორის მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს სამინისტრო შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სამინისტროს ცენტრალური აპარატისთვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში.

**კოლექტიურ დავაზე დანიშნული მედიატორი ვალდებულია:**

განიხილოს მედიაციის ფარგლებში მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები მიუკერძოებლად, კოლექტიური დავის გარემოებათა ობიექტურად შესწავლის საფუძველზე;

დაუყოვნებლივ, მათ შორის კავშირგაბმულობის ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენებით, აცნობოს მედიაციის საორგანიზაციო სამსახურს „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ გათვალისწინებული ან რაიმე სხვა ისეთი გარემოების თაობაზე, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ მედიაციის განხორციელებას;

მედიაციის დასრულებისას, ასევე მინისტრის მოთხოვნის შემთხვევაში, საორგანიზაციო სამსახურში წარადგინოს ანგარიში კოლექტიურ დავასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა მოიცავდეს აგრეთვე მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;

არ გაამჟღავნოს და არ გამოიყენოს კომერციული ან სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიაციის განხორციელებასთან დაკავშირებით;

გამორიცხოს მედიაციასთან დაკავშირებით რაიმე ანაზღაურების მიღება (მათ შორის, ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით), გარდა მედიაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისა;

ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

„კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესისა“ და მედიატორთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობათა (ვალდებულებათა) დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, შეგვეხმიანეთ ტელეფონის შემდეგ ნომრებზე: 593359909, 595051177 და ჩვენც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ უახლოეს ნომერში იმ საკითხზე გადავიტანთ ყურადღებას, რომლის დროულად განმარტებაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება თქვენთვის.**

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი**
**ირინე ღლონტი**



**ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებას გამოხატავს გვარში გამორჩეული პიროვნების**

**გივი ჭუმბურიძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მეუღლეს, ქალბატონ ლეილას, ქალიშვილებს ნინოს, მზევინარს, სიძეებს ტარიელს, კობას, ვასილს, შვილიშვილებს ნანას, თაკოს.**

## ინფორმაცია

### ბათუმში მოკლული მარიამ კოჩალიძის ოჯახი ნივთების დაბრუნებას ითხოვს

**ბათუმში მოკლული მარიამ კოჩალიძის ოჯახი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის დავით მამისეიშვილის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც, ოჯახს გარდაცვლილის ნივთები არ დაუბრუნდება, ვიდრე მკვლელობაში ბრალდებულს არ დააპატიმრებენ.**

**როგორც კოჩალიძის ნათლიამ, ნატალია კვინტრაძემ „ინტერპრესნიუსს„ განუცხადა, არ აქვს იმედი, რომ ირანის მოქალაქე მოჰამმადამინ როოინტანის დააპატიმრებენ, ამიტომ ნივთები ოჯახს უნდა დაუბრუნდეს.**

**— მამისეიშვილისგან ვითხოვ პასუხს, რატომ ჩაწერა სასამართლო განაჩენში, რომ მკვლელის დაჭერის შემდეგ დაგვიბრუნდება ნივთები. ყველამ ვიცით, რომ მარიამის მკვლელს ვერასდროს დაიჭერენ. ვითხოვთ, დაგვიბრუნდეს მარიამის ტელეფონი, ველოსიპედი, წიგნაკი, ტანსაცმელი და კომპიუტერი. ის, რომ მარიამის მკვლელობას დაარქვეს ყაჩაღობის ნიადაგზე მკვლელობა, ამაზე დავხუჭე თვალები იმიტომ, რომ სახელმწიფოსთან ბრძოლის ძალა არ შემწევს. ახლა კი მეუბნებიან, ნივთებს არ დაგიბრუნებთ, სანამ მკვლელს არ დავიჭერთო, — აღნიშნა ნატალია კვინტრაძემ.**

**2013 წლის 16 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მარიამ კოჩალიძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული მოჰამმადამინ როოინტანი დაუსწრებლად დამნაშავედ ცნო და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოჰამმადამინ როოინტანი სარფის საბაჟო პუნქტის გავლით მკვლელობის დღეს, 2013 წლის 22 ივლისს თურქეთის რესპუბლიკაში გადავიდა და მისი ადგილსამყოფელი ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობია.**

ინტერპრესი

## ინფორმაცია

### ოლიმპიურ კომიტეტებს ტერორისტები ემუქრებიან

**გერმანიის, უნგრეთის, სლოვენიისა და იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტებმა სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ტერორისტული მუქარის შემცველი წერილები მიიღეს. ინფორმაციას „ალ ჯაზირა„ ავრცელებს.**

გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, ტერორისტული მუქარის შემცველი წერილი მათ ელექტრონული ფოსტით მიიღეს და გერმანიის სათანადო ორგანოებს გადასცეს.

უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის თქმით კი, წერილში მუქარა




იმ სპორტსმენებისა და მათი ოჯახის მისამართით იყო, რომლებიც სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას გეგმავენ.

— მიღებული წერილები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და რუსულ მხარეს გადავუგზავნეთ. წერილების ანალიზის შედეგად, ორივე მხარემ ოფიციალურად განგვიცხადა, რომ მუქარა არ არის საფრთხის შემცველი და წერილის ავტორი მსგავსი შინაარსის შეტყობინებებს ოლიმპიური ოჯახის უამრავ წევრს უგზავნის, — განაცხადა უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა ზიგმუნდ ნაგიმ.

სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები 7-დან 23 თებერვლამდე გაიმართება, პარაოლიმპიური თამაშები კი 7-დან 16 მარტამდე ჩატარდება.

რამდენიმე კვირის წინ, ისლამისტურმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ანსარ ალ-სუნამ„ გაავრცელა ვიდეო, სადაც სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს ტერაქტების განხორციელებით იმუქრებოდა.

### რუსეთის მიერ საზღვრის გადმოწევა დროებითი მოვლენაა

**როგორც დიმიტროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს ნებისმიერ შემთხვევაში ახდენს გავლენას ქართულ ტერიტორიაზე.**

— ეს ხანგრძლივი საკითხია განსახილველად. როგორც ჩანს, ეს არის დროებითი მოვლენა დაკავშირებული სოჭის ოლიმპიადასთან. ნებისმიერ შემთხვევაში ამას ზეგავლენა აქვს ქართულ ტერიტორიაზე. ეს წარმოქმნის ბევრ პრობლემას, მაგრამ ამას, ალბათ, მოგვიანებით ჩვენ სხვა დროს განვიხილავთ. კარგად მოგეხსენებათ, ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით და ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვახარებს მოვლენათა ასეთი განვითარება, — განაცხადა ელჩმა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

# ცივი კილოგრამები

### რატომ ვსუქდებით ზამთარში?



**ფიზიოლოგებმა დაიანგარიშეს: ცივ თვეებში ადამიანი, როგორც წესი, 2-5 კილოგრამს იმატებს წონაში. ამასთან დაკავშირებით ბუნებას აქვს თავისი სეზონი.**

### ღამეები უფრო გრძელი ხდება, დღეები უფრო მოკლე, ვიდრე ზაფხულში

ამის გამო ორგანიზმს არ ჰყოფნის შუქი, ადამიანი იწყებს ნერვიულობას, თირკმელზედა ჯირკვლები უფრო ნაკლებად გამოიმუშავებენ ინსულინის ჰორმონს და, არსებითად, იზრდება შაქრის დონე სისხლში. შედეგი: ღვიძებს მგლური მადა, განსაკუთრებით საღამოობით. დანაყრების სურვილი იმდენად დაუოკებელია, რომ მაცივარში გინდა შეძვრე შუაღამისასაც კი.

**როგორ ვებრძოლოთ ამას?**

მეტი დრო გავატაროთ სუფთა ჰაერზე დღისით. შემოდგომისა და ზამთრის გასეირნება არ შეიძლება გადავდოთ უამინდობის დროსაც კი, ვინაიდან მზე წვიმაშიც, თოვლსა და ღრუბლიანობის დროსაც არ მოგვაკლებს ულტრაიისფერი სხივების აუცილებელ ოდენობას.

დღისით ბინაში და სამუშაოზე გასწიეთ ფარდები. იმისთვის, რომ მიღებულმა ულტრაიისფერმა სიკეთე მოგვიტანოს, მიირთვით ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები, მიიღეთ ბიოდანამატები, კომპლექსები, ვიტამინები და მინერალები.



### ყველაფერში დამნაშავე ზამთრის დეპრესიაა

თითქოსდა, გუნების ცუდი განწყობილება ჩნდება ზამთარში ამისთვის ყოველგვარი დეპრესიის გარეშე. სინამდვილეში დამნაშავეა სეროტონინის (მას ბედნიერების ჰორმონსაც უწოდებენ) დეფიციტი. თუ ის უხვადაა, ჩვენ დილით ადვილად ვიღვიძებთ, გვიხარია ყოველი წუთი. და კიდევ სეროტონინი ეხმარება ტვინს იყოს გაწონასწორებული, გვაიძულებს ვიმუშაოთ ნაყოფიერად.

როდესაც შევიგრძნობთ სეროტონინის, და კიდევ D ვიტამინის ნაკლებობას, ვცდილობთ მივიღოთ მეტი ნახშირწყლები და ცხიმები, რომლებიც მათი შევსებისთვისაა საჭირო. ფუნთუშები, ნამცხვრები, კანფეტები, შოკოლადი, მაკარონი, კარაქი, არაჟანი, ცხიმიანი ყველი, ძეხვი და სხვა არასამარხვო კერძები... და გამოდის კიდეც, რომ ზამთარში დღის რაციონი შვიდგზის უფრო კალორიულია იმასთან შედარებით, რასაც ზაფხულში შევეჩვიეთ.

**როგორ ვებრძოლოთ ამას?**

ეცადეთ ყველაფერში მოძებნოთ სასიამოვნო მომენტები, მიანიჭოთ თავს სიხარული და კმაყოფილება ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში. კარგი წიგნით, ჭკვიანური ფილმით, სასიამოვნო შეხვედრებით მეგობრებთან — ყოველივე იმით, რაც დადებით ემოციებს განიჭებთ.

წაიმუშავეთ სწორ მენიუზე. მასში უნდა იყოს ნახშირწყლები და ცხიმები, მაგრამ ნამდვილი — არა მარტივი ნახშირწყლები, არამედ რთული, ცხიმებში უნდა იყოს ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები. თქვენს სეზონურ დიეტაში უნდა შევიდეს ხაჭო, თეთრი უცხიმო ყველი, წითელი და თეთრი თევზი, მუქი ბრინჯი, მზესუმზირის თესლები, პარკოსნები და მარცვლეული, ინდაური და ქათამი, არარაფინირებული ზეითუნისა და მზესუმზირის ზეთები.

### სიცივეში ადამიანში იღვიძებს დათვი, რომელსაც ძილი სწყურია

გარეთ ტემპერატურის დაცემის დროს ორგანიზმში ნელდება ნივთიერებათა ცვლა. ამის გამო ვხდებით უფრო მომჭირნეები მოძრაობებში, ვითბუნებით, ვცდილობთ, არ დავკარგოთ სითბო და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ადამიანს დაძინება უნდა.

ეს, რასაკვირველია, ძველი ინსტინქტებია — ჩვენი თანამედროვე უკვე აღარ იყინება, ვინაიდან უკვე „ცხოვრობს“ არა ტყეში, არამედ ბინებში და მანქანებში. მაგრამ ძნელია, ებრძოლო ბუნებას. იგი ჭკვიანია და მზრუნველი, ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევისთვის აყოვნებს ნივთიერებათა ცვლას და კანის ქვეშ გვიფენს ცხიმოვან სარჩულს, რომ არ გავიყინოთ.

**როგორ ვებრძოლოთ ამას?**

ყველა შესაძლო საშუალებით უნდა შევინარჩუნოთ სიცოცხლის ტონუსი: დილით ვივარჯიშოთ, მივიღოთ კონტრასტული შხაპი, დავლიოთ მაგარი ჩაი, ლიმნის, ჟენშენის მატონიზებელი ნაყენი. როდესაც უფრო ენერგიულები ვართ, ეს გვეხმარება გავიდეთ ტყეში თხილამურებით ან უბრალოდ ფეხით სასეირნოდ. თუ ავტობუსით მიდიხართ, ეცადეთ რამდენიმე გაჩერება ფეხით გაიაროთ. უარი თქვით ლიფტზე — ადით მხოლოდ კიბით.

არის ასეთი „ეშმაკობაც“, რომელიც გვეხმარება „გავაცუროთ“ ბუნება: ატარეთ ზამთრის თბილი ტანსაცმელი, შეიძინეთ თანამედროვე თერმოთეთრეული, რომლისთვისაც არანაირი სიცივე არაა საშინელი. როდესაც არ გაიყინებით, ორგანიზმს რისთვისღა დასჭირდება ცხიმის შენარჩუნება?!

ნივთიერებათა ცვლას შესანიშნავად უწყობს ხელს B ვიტამინის ჯგუფი, ასკორბინი, რკინა და იოდი. თუ თქვენს რაციონში ისინი ცოტაა, გაიხსენეთ ვიტამინები.

**ინფორმაცია თემაში**

**როდესაც გარეთ თოვლჭყაპია ან თოვლი, ადამიანი ცდილობს, დრო მოკლას სპირტიანი სასმელების სირჩებით. ამ დროს ალკოჰოლი მადის პროვოკატორია. თუ მისი შეკავება გინდათ, შეზღუდეთ მაგარი სასმელების მიღება.**

**აი ჩვეულებრივი ჩაის სმა ზამთრობით ყველაზე ცუდი როდია. ცუდია მხოლოდ ის, რომ ჭიქა ჩაიზე თავს ძალიან გვახსენებენ ტკბილეული და ნამცხვარი. შეეცადეთ, გადახვიდეთ მწვანე ჩაიზე. ჩაის სმა აღმოსავლური წესით გვათბობს არანაკლებად, თანაც არასაჭირო ნახშირწყლები მასთან აღარ მოგვინდება. მწვანე ჩაის, ჩვეულებრივად, სვამენ კალორიული თანხლების გარეშე.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### ახალ მთავარ პროკურორს მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილი ენდობა

პარტია „თავისუფალ საქართველოში“ მიიჩნევენ, რომ ახალ მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს მხოლოდ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ენდობა.

პარტიის განცხადებით, გიორგი ბადაშვილი მთავარი პროკურორისთვის საჭირო ვერც ერთ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს. საზოგადოებაში გაჩენილია კითხვები ახალი მთავარი პროკურორის წარსულზე, ვინაიდან, უწყებაში, სადაც ის მუშაობდა, ძირითადი საქმიანობა იყო ბიზნესის ტოტალური რეკეტი. ზოგადად, მიუღებელია პროკურატურის სისტემაში ყოფილი პოლიციელებისა და ოპერატიული თანამშრომლების დანიშვნა. პროკურატურის თანამდებობებს იკავებდნენ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური იურისტები, — აცხადებს „თავისუფალი საქართველო“.

**„ალია“**

### მავთულხლართების გაბმას ახალგორის მიმართულებითაც იწყებენ



სოფელ ოძისში, ახალგორის მახლობლად, რუსმა სამხედროებმა მავთულხლართების გასაბმელად ბოძები უკვე ჩაასვეს. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მალე მავთულხლართების გაბმასაც დაიწყებენ. ისინი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან რეაგირებას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებენ, რომ მათი საძოვრები, სახნავ-სათესი მიწები და სასმელ-სარწყავი წყალი, რითაც 5 სოფელი მარაგდება, მავთულხლართებს მიღმა დარჩება.

**„რეზონანსი“**

### „შეიარაღებულ ძალებში დაძაბულობა გროვდება“

— ამბობს სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი გიორგი თავდგირიძე. — ოფიცერთა გარკვეული ნაწილი ხედავს, რომ დღეს შეიარაღებულ ძალებში საკადრო პოლიტიკა კვლავ მათ ხელშია, ვინც ნაციონალურ მოძრაობას ეხმარებოდა იმ არაადამიანური პოლიტიკის გატარებაში, რომელიც ხორციელდებოდა ამ სისტემაში. გაცილებით მკაცრი იყო ნაცმოძრაობის დამოკიდებულება სამხედროების მიმართ, ვიდრე პოლიციელებისა და სამოქალაქო პირების მიმართ. ეს ხორციელდებოდა იგივე სამხედრო პოლიციელების ხელით, რომლებიც დღესაც არიან ამ უწყებაში და კვლავ მნიშვნელოვანი თანამდებობები უკავიათ. ამიტომ უკმაყოფილების მუხტი თავდაცვის სფეროში არის და იზრდება. როგორ და რა ფორმით იჩენს იგი თავს, არავინ იცის.

**„ახალი თაობა“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— სარა, მალე ძვირიან ბინაში ვიცხოვრებთ, როგორც შენ გინდოდა!

— რაო, საყვარელო, იყიდე აპარტამენტები იმ ელიტურ სახლში?

— არა, კვლავ ძველ ბინაში დავრჩებით, მაგრამ ბინის ქირა გაგვიზარდეს...

* * *

— მოშე, მართალია, რომ ბანდიტებისთვის მთელი ოქროულობა და ფული მიგიცია?

— აბა, რა მექნა, უკანალში სარჩილავი შემტენეს, მუცელზე უთო დამადეს და დენს შეუერთეს!

— და შენც მაშინვე მიეცი?



— აბა რა, მეცადა, სანამ მრიცხველი ქვეყნის ფულს დაწერდა?

* * *

— ჟუჟუნა, ჩემო სიცოცხლევ, შემომფიცე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ არავის არ შეიყვარებ.

— მაგრამ, კოტიკო, თუ არ მოკვდები?

* * *

— ბიჭებო, ორი ახალი ამბავი მაქვს. რომლით დავიწყო?

— ცუდით დაიწყე.

— გოგო, რომელიც ავირჩიე, ბრიყვია და უშნო.

— კარგი რომელია?

— მე დავქორწინდი.

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:

შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)

ს-323

ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი

ალეკო ასლანიშვილი

299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

რუსლან რუსია 599 17-21-21;

სპარტაკ ქობულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24